*დანართი N2*

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის  დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

თეატროლოგია - საბაკალავრო პროგრამა
თეატროლოგია -სამაგისტრო პროგრამა
თეატროლოგია - სადოქტორო პროგრამა

კინომცოდნეობა - საბაკალავრო პროგრამა
კინომცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა
კინომცოდნეობა- სადოქტორო პროგრამა

ეთნო-ქორეოლოგია
(ქართული ქორეოგრაფიის ისტორია, თეორია და კრიტიკა)- სამაგისტრო პროგრამა
ქორეოლოგია
(ქორეოგრაფიული ხელოვნების კვლევა) -  სადოქტორო პროგრამა

სსიპ  შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 31 ივლისი - 3 აგვისტო , 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.......................................... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა................................................... 7

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.................................................. 26

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა................................................................................................................................ 26

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ................................................................................................................................ 75

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა......................................... 93

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ....................................................................... 104

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.................................................. 146

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 203851028 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | რამუნე ბალევიჩიუტე, ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემია, ლიეტუვა |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნატალია თვალჭრელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | სოფიო თავაძე, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | გიორგი არქანია, სტუდენტი ექსპერტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 | პროგრამა 6 | პროგრამა 7 | პროგრამა 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | თეატროლოგია | თეატროლოგია | თეატროლოგია | კინომცოდნეობა | კინომცოდნეობა | კინომცოდნეობა | ეთნო-ქორეოლოგია - (ქართული ქორეოგრაფიის ისტორია, თეორია და კრიტიკა) | ქორეოლოგია (ქორეოგრაფიული ხელოვნების კვლევა) |
| **უმაღლესი განათლების საფეხური** | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | სადოქტორო | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | სადოქტორო | მაგისტრატურა | სადოქტორო |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თეატროლოგიაში | თეატროლოგიის მაგისტრი | თეატროლოგიის დოქტორი | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი კინომცოდნეობაში | კინომცოდნეობის მაგისტრი | კინომცოდნეობის დოქტორი | ქორეოლოგიის მაგისტრი | ქორეოლოგიის დოქტორი |
| **დეტალური სფეროს** | 0215 მუსიკა და | 0215 მუსიკა და | 0215 მუსიკა და | 0215 მუსიკა და | 0215 მუსიკა და | 0215 მუსიკა და | 0215 მუსიკა და | 0215 მუსიკა და |

| დასახელება და კოდი | საშემსრულე ბლო ხელოვნება | საშემსრულე ბლო ხელოვნება | საშემსრულე ბლო ხელოვნება | საშემსრულე ბლო ხელოვნება | საშემსრულე ბლო ხელოვნება | საშემსრულე ბლო ხელოვნება | საშემსრულე ბლო ხელოვნება | საშემსრულე ბლო ხელოვნება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | - | | | | | | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 120 | 60 | 240 | 120 | 60 | 120 | 60 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული / პირობით აკრედიტებ | აკრედიტებულია, 25.11.2011, #12 გადაწყვეილება N 337 ; | აკრედიტებული, 02.08.2012 გადაწყვეილება# 283 ; | აკრედიტებული 02.08.2012 #9 გადაწყვეილება# 288 ; | აკრედიტებულია, 25.11.2011, #12 გადაწყვეილება N 337 ; | აკრედიტებული, 02.08.2012 გადაწყვეილება# 283 ; | აკრედიტებული 02.08.2012 #9 გადაწყვეილება# 288 ; | აკრედიტებული, 02.08.2012 #283 | აკრედიტებული, 02.08.2012 #288 |

[1](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ული/ახალი/ საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | | | | | | | | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

კლასტერში დაჯგუფებული 8 საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ხელოვნების მეცნიერებების დარგებს - თეატროლოგიას, კინომცოდნეობას და ქორეოლოგიას და წარმოადგენს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს (გარდა ქორეოლოგიისა, რომელსაც აქვს მხოლოდ მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურები). პროგრამები გაერთიანებულია დეტალურ სფეროში: 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება. ეს პროგრამები წლების განმავლობაში ხორციელდება შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, რამდენადაც უნივერსიტეტის მისიაა ხელოვნების სფეროების განვითარება და კვლევა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია 2011 წელს მიიღო, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებმა 2012 წელს. აკრედიტაციის პერიოდში საბაკალავრო პროგრამა აკრედიტირებული იყო სახელწოდებით ხელოვნების ისტორია და თეორია (თეატროლოგია, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა); და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები აერთიანებდა 4 მიმართულებას - თეატროლოგიას, კინომცოდნეობას, ხელოვნებათმცოდნეობას და ქორეოლოგიას. ბოლო წლებში საგანმანათლებლო რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდა. თავდაპირველი პროგრამები (სამივე საფეხურზე) დაიყო რამდენიმე პროგრამად სპეციალიზაციების მიხედვით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროებში მოცემულ კლასიფიკაციას. დაყოფის შემდეგ თეატროლოგიამ, ქორეოგრაფიამ და კინომცოდნეობამ გაიარა გარკვეული შინაარსობრივი კორექტირება, თვითშეფასების, ბაზრის კვლევის შედეგების, გამოკითხვების ანალიზის და სხვათა საფუძველზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 ივლისიდან 3 აგვისტომდე. ოთხი დღის განმავლობაში, ექსპერტებმა გამართეს შეხვედრები და გაესაუბრნენ შემდეგ ჯგუფებს: (1) ადმინისტრაცია, (2) თვითშეფასების ჯგუფი, (3, 4, 5) თეატროლოგიის, კინომცოდნეობისა და ეთნოქორეოლოგიისა და ქორეოლოგიის პროგრამების ხელმძღვანელები, (6, 7) აკადემიური პერსონალი, (8, 9, 10) ბაკალავრიატის სტუდენტები , მაგისტრანტები და დოქტორანტები, (11, 12) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები, (13) სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები, (14, 15) მოწვეული პერსონალი, (16) დამსაქმებლები, (17) ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი. ჩამოთვლილთაგან ყველა არ დასწრებია შეხვედრებს (მაგალითად მოწვეული პერსონალის ჯგუფში). ვიზიტის

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ორი შენობა დაათვალიერა. მოწოდებული იყო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების რამდენიმე ნიმუში. ადგილზე ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული და უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელმა გამოხატა თანამშრომლობის სურვილი. მცირე წინაღობად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ყველა ინფორმაცია ინგლისურ ენაზე არ იყო ხელმისაწვდომი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები

ყველა პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნებს, გარდა თეატროლოგიის სამაგისტრო პროგრამისა, რომელიც მეტწილად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

ყველა პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნებს, გარდა 1, 2 და 3 პროგრამებისა, რომლებიც მეტწილად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

ყველა პროგრამა მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, გარდა პროგრამა 2-ისა, რომელიც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

პროგრამები 1,3,6,7 და 8 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო პროგრამები 2, 4 და 5 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

**ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გარდა თეატროლოგიის სამაგისტრო პროგრამისა, რომელიც ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1. პროგრამაზე  დაშვების წინაპირობები

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.4. სტუდენტის შეფასება

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

**ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან(არ ფასდება პროგრამა 1 და 4).

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

**ყველა პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

4.1. ადამიანური რესურსები

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

ყველა საგანმანათლებლო პროგრა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.  (პროგრამები 1 და 4 არ არის შეფასებული).

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.4. მატერიალური რესურსი

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4,5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

**ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5.2. გარე ხარისხის შეფასება

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

**ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

- **რეკომენდაციები**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1.პროგრამის მიზნები

რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა)

მიზნების უფრო ნათლად და სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება.

1.2.პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)

სწავლის შედეგების კლასიფიკაციის გადახედვა.

პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა)

სწავლის შედეგების ფორმულირების გადახედვა, რათა ისინი გაზომვადი გახდეს.

პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა)

• სწავლის შედეგების ფორმულირებისა და კლასიფიკაციის გადახედვა.

• დაემატოს საერთაშორისო განზომილება და კვლევის შედეგების სხვადასხვა დონეზე გავრცელების უნარები.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

• სწავლის შედეგების შეფასების რუკაში (გარდა ეთნო-ქორეოლოგიის სამაგისტრო და ქორეოლოგიის სადოქტორო პროგრამების რუკების) მიეთითოს სამივე დონის სასწავლო კურსები (შესავალი; გაღრმავება; განმტკიცება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.

• შესაბამისი სასწავლო კურსებიდან კონკრეტული შეფასების ფორმის საფუძველზე სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, სწავლის თითოეული შედეგის გასაზომად.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

• პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, სხვადასხვა რეგიონის ექსპერტებთან მუდმივი თანამშრომლობისა და პარტნიორობის დამყარებით.

• შეიტანეთ მეტი უცხოენოვანი ლიტერატურა.

• კვლევის ხარისხის ამაღლება როგორც პერსონალის, ასევე მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინდივიდუალური კვლევის დონეზე.

• ინგლისური ენის ცოდნის დონის გაზრდა.

რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)

• ახალი კვლევის შედეგებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინება.

• სტუდენტებისთვის მეტი პრაქტიკული საქმიანობის მიწოდება და სწავლის პერიოდში პროფესიულ გარემოსთან მეტი კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა.
პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა)
• უზრუნველყავით, რომ მიღწევების დონე შეესაბამებოდეს მაგისტრატურაში სწავლის დონეს და არ გაიმეორდეს ბაკალავრის დონის შინაარსი.
• უზრუნველყავით თანამედროვე თეატრისა და დრამის თეორიების დისკურსის არსებობა.
• განაახლეთ ლიტერატურა.
პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა)
• გაზარდეთ კვლევის დონე.
• გაზარდეთ ინტერნაციონალიზაციის დონე.
პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა)
სასწავლო კურსის მომზადება სადოქტორო დონის შესაბამისი კვლევის მეთოდებისა და უნარების განვითარებაში.
პროგრამა 8 (ქორეოლოგია (დოქტორატურა))
საჭიროა დარგის მეტის სპეციალისტის ჩართვა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება კვლევის მრავალფეროვნებისა და სიახლის უზრუნველსაყოფად.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი
კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
განაახლეთ ლიტერატურა უახლესი წიგნებით, რომლებიც ეხება თეატრის, კინოსა და ცეკვის თანამედროვე თეორიებსა და პრაქტიკას.
რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:
პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა)
• საგნის დონეზე, უფრო მაღალი დონის მიღწევების უზრუნველყოფა.
• საშემსრულებლო ხელოვნებისთვის, კონკრეტული კვლევის მეთოდების შემოტანა.

პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა)
სილაბუსებში მითითებული ყველა სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი)
რეკომენდებულია, რომ ჩამოთვლილი კურსების სილაბუსებში: „კინოწარმოების საფუძვლები - მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები - დოკუმენტური ფილმი“ - რაციონალურად განისაზღვროს კრედიტების რაოდენობას კურსისა და შესასრულებელი დავალებების სირთულის შესაბამისად.
• რეკომენდებულია „კინემატოგრაფიული ხელოვნების საფუძვლების“ სწავლება ჩამოთვლილი კურსების პარალელურად: „კინოწარმოების საფუძვლები – მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები – დოკუმენტური ფილმი“ - რათა კურსი დაეხმაროს სტუდენტებს პრაქტიკული დავალებების მომზადებაში.

• რეკომენდირებულია სასწავლო კურსების „კინოწარმოების საფუძვლები – მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები – დოკუმენტური ფილმი“ - მიზნებისა და შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება.
• ზემოაღნიშნული კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურას უნდა დაემატოს მხატვრული და დოკუმენტური კინოს შესახებ არსებული საგანმანათლებლო რესურსები.
• რეკომენდებულია სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში ფრაზა „ლექტორის მიერ მოწოდებული მასალა“ შეიცვალოს კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსით და განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)
• რეკომენდებულია სასწავლო კურსის გავლის წინაპირობები მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული სილაბუსებში და მიეთითოს კონკრეტული კურსის გასავლელად საჭირო სასწავლო კურსი/კურსები. და რადგან სამაგისტრო დონეზე B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა, ამიტომ კურსის გავლის წინაპირობად უცხო ენის ცოდნის მითითება აუცილებელი აღარაა.
• რეკომენდებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და განახლება და, ერთი და იგივე საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში, მათი გამოყოფა გვერდების მითითებით.
• რეკომენდებულია სასწავლო კურსის „დასავლეთ ევროპის კინოს“ გადახედვა, რომელშიც მეორდება თემები და ლიტერატურა საბაკალავრო პროგრამის ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან: „კინოს პრეისტორია, კინოწარმოების დაბადება და ჩამოყალიბება“, „მუნჯი კინოს განვითარების ძირითადი ეტაპები“, „ამერიკული, ფრანგული, იტალიური და გერმანული კინო 1930-1960 წწ.“, „სხვა ევროპული ქვეყნებისა და აზიის კინო, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმი 1930-1960 წწ.“

პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა)
მიზანშეწონილია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება ან რიდერების მომზადება, რათა ისინი შეესაბამებოდეს მიმართულების/დარგის თანამედროვე მიღწევებს და უახლეს კვლევებს.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
• მისაღები პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია კლასტერში არსებული ყველა პროგრამის მისაღები მოთხოვნების დეტალურად გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
გაზარდეთ სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში საზღვარგარეთ.

2.4. სტუდენტის შეფასება

• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, სტუდენტების შეფასების მეთოდებში არ არის ნახსენები დასწრების შეფასება. რეკომენდებულია, რომ დასწრებისთვის გამოყოფილი ქულები სტუდეტებს კონკრეტული აქტივობების შესრულებისთვის მიენიჭოთ.

• უნივერსიტეტს ამჟამად არ აქვს პლატფორმა, რითაც პლაგიატზე შეამოწმებს საკუთარ პუბლიკაციებსა თუ სტუდენტთა ნაშრომებს. ტურნიტინზე ან სხვა პლატფორმაზე წვდომის არარსებობის პირობებში, უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმი ორგანიზაციასთან, რომელიც ამოწმებს ნაშრომებს და უნივერსიტეტს აწვდის შესაბამის ანგარიშებს. უნივერსიტეტმა უნდა შექმნას პლაგიატის შემოწმების უფრო ღია წვდომის მქონე პლატფორმა.

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

• რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურ პროფესიულ განვითარებას, მათ შორის საერთაშორისო კვლევითი მუშაობის ხელშეწყობის მექანიზმის შექმნას და კვლევის შედეგების საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებას.

4.4. მატერიალური რესურსი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

• რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მთელი ძალისხმევა დაუთმოს ბიბლიოთეკის რესურსების განახლებას და გაამდიდროს ის თანამედროვე, მათ შორის უცხოენოვანი (მაგ., ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ლიტერატურით.

• რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გამოიყენოს დამატებითი რესურსები თავისი პერსონალისა და სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

• რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ჰქონდეს ყველა აუცილებელი (ძირითადი) ლიტერატურა და წიგნები, რომლებიც მითითებულია კურსების სილაბუსებში.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

საჭიროა, რომ კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამა პერიოდულად შედარებული იქნას უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, ასევე მომზადდეს დეტალური

შედარებითი ანალიზი, რათა პროგრამები მოიყვანონ თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში და გამოიყენონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1.პროგრამის მიზნები

კლასტერის საერთო რჩევები:

• გადაიხედოს პროგრამის მიზნების სიტყვიერი ფორმულირება, რათა უფრო ზუსტად და მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა პროგრამებს შორის.

• პროგრამის მიზნები სასურველია უფრო მეტად დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს.

• შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი პრობლემების მხედველობაში მიღება.

რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)

• ამოცანების სიტყვიერი ფორმულირების გადახედვა.

პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი)

შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბის გაზრდა მასში დამატებითი სუბიექტების ჩართვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ადეკვატურ შესაბამისობაში იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)

შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბის გაზრდა მასში დამატებითი სუბიექტების ჩართვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ადეკვატურ შესაბამისობაში იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა)

შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბის გაზრდა მასში დამატებითი სუბიექტების ჩართვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ადეკვატურ შესაბამისობაში იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

1.2.პროგრამის სწავლის შედეგები

კლასტერის საერთო რჩევები:

სწავლის შედეგების განვითარების პროცესში მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)

სწავლის შედეგების გაფართოება ისეთი საგნების ჩართვით, როგორიცაა ფსიქოლოგია, საჯარო მეტყველება და საჯარო გამოსვლებსა და დებატებში მონაწილეობის კულტურა.

პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა)

სწრაფვა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისკენ და არა ცოდნის დაგროვებისკენ.

პროგრამა 8 (ქორეოლოგია (დოქტორატურა))

სწავლის შედეგების დიაპაზონის გაზრდა და სტუდენტებისთვის უფრო მრავალფეროვანი კომპეტენციების მიწოდების უზრუნველყოფა.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

• პროგრამის ერთი სასწავლო შედეგის ფორმულირებისას, ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან გამოიყენეთ კონკრეტული მოქმედების აღმნიშვნელი მაქსიმუმ ორი-სამი ზმნა.

1.4.საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი)

• პროგრამის სასწავლო კურსებზე მიღების წინაპირობების სისტემატური და ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება. მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული სასწავლო კურსი/კურსები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული კურსის გასავლელად.

• სასურველია სტუდენტებს შევთავაზოთ დამატებითი უცხო ენების არჩევითი კურსები, რაც მნიშვნელოვანია როგორც პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, ასევე სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობისთვის.

• სასურველია არჩევითი სასწავლო კურსის „კინოარქივის საქმე“ გადაიტანოთ საბაზისო კურსების ბლოკში, რადგან სასწავლო კურსით მოწოდებული საარქივო დოკუმენტებისა და კინომასალის შესწავლა და დამუშავება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ წარსულისა და მიმდინარე მოვლენების შეფასებას, ასევე კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას.

• სასურველია ჩამოთვლილი კურსების სილაბუსებში: „თანამედროვე მსოფლიო კინო (1970-1980)“ და „თანამედროვე მსოფლიო კინო (1990-2010 წწ.)“, - დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის სათანადო დონე.

• მომავალი კინოს მცოდნის პროფესიული კომპეტენციების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია არჩევითი სასწავლო კურსი “კინემატოგრაფიული ხელოვნების დიზაინი“ გადავიდეს საბაზისო კურსების ბლოკში. ასევე, ამავე ბლოკისთვის მომზადდეს სასწავლო კურსი „მუსიკა კინოში“.

პროგრამა 7 (ეთნო-ქორეოლოგია, მაგისტრატურა)

• ინტერდისციპლინურმა მიდგომამ და ეთნოლოგიის თანამედროვე პერსპექტივამ შესაძლოა გააძლიეროს პროგრამის შინაარსი და უზრუნველყოს პროგრამაში კვლევის ახალ შედეგების და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინება.

1.5.სასწავლო კურსი/საგანი

რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)

• საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობის გათვალისწინება.

• დამხმარე დისციპლინების შინაარსის თეატროლოგიის სპეციფიკასთან მორგების შესაძლებლობაზე დაფიქრება.

პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა)

• თანამედროვე ანალიზის მეთოდების სილაბუსში ჩართეთ საშემსრულებლო კვლევის უახლესი მეთოდები.

• განიხილეთ, თანამედროვე ანალიზის მეთოდების კურსის სასწავლო პროგრამაში უფრო ადრე შემოტანის შესაძლებლობა.

პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი)

• მიზანშეწონილია სილაბუსში დაკონკრეტდეს, თუ რამდენი საათი იქნება დათმობილი სხვადასხვა კომპონენტებზე სალექციო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რათა ნათელი იყოს, რამდენი საათი ეთმობა ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას; და ა.შ.

• სასწავლო კურსის „„სხვა ევროპული ქვეყნებისა და აზიის კინო, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმი 1930-1960 წწ.“ თემატიკა აზიური ფილმებიდან მოიცავს მხოლოდ იაპონურ კინოს. სასწავლო კურსის სათაურიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია თემაიკაში ზოგადად აზიის სხვა ქვეყნების კინემატოგრაფიის ჩართვა.

• უნდა გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზი შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: „კინომცოდნეობის შესავალი“, „კინომცოდნეობის საფუძვლები და კინოს თეორია“, „კინოთეორიის კლასიკა და კინოენის ჩამოყალიბება“, „კინოს ჟანრები და მხატვრული ტენდენციები“, „ახალი კინოს მიმართულებები და კინოთეორიები“, „კინოკრიტიკა და კინოჟურნალისტიკის სპეციფიკა (ბეჭდურ, ტელე და ელექტრონულ მედიაში)“, „კინო ფილოსოფიური თეორიების ასპექტში“, „თანამედროვე მსოფლიო კინო (1970-1980)“ და „თანამედროვე მსოფლიო კინო (1990-2010)“ და გრაფაში „შეფასების სისტემა და კრიტერიუმები“ სიტყვა „დოქტორანტი“ შეიცვალოს „ბაკალავრიატის სტუდენტით“.

პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)

• მიზანშეწონილია სილაბუსში დაკონკრეტდეს, თუ რამდენი საათი იქნება დათმობილი სხვადასხვა კომპონენტებზე სალექციო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რათა ნათელი იყოს, რამდენი საათი ეთმობა ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას; და ა.შ.

პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა)

• გამოსწორდეს კინემატოგრაფიის სადოქტორო პროგრამის ქსელში არსებული ტექნიკური ხარვეზი და დაზუსტდეს სწავლის მე-3 სემესტრში დასაგროვებელი კრედიტების ჯამი.

• მიზანშეწონილია სილაბუსში დაკონკრეტდეს, თუ რამდენი საათი იქნება დათმობილი სხვადასხვა კომპონენტებზე სალექციო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რათა ნათელი იყოს, რამდენი საათი ეთმობა ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას; და ა.შ.

• მიზანშეწონილია, რომ ქვემოთ მოცემული კურსის სილაბუსში: „აუდიოვიზუალური ხელოვნების გავლენა მე-20 საუკუნის საზოგადოების ფორმირებაზე“ - აღინიშნოს, რომ კურსი ითვალისწინებს რუსული ენის სათანადო ცოდნას, როგორც წინაპირობას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

კლასტერის საერთო რჩევები:

• სასურველია, თვითშეფასების ანგარიში დაიწეროს მეტი ყურადღებით, რაც უკეთესად მოგვაწვდის ინფორმაციას პროგრამების შესახებ და თავიდან იქნება აცილებული ტექნიკური ხარვეზები.

• სასურველია, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული იყოს სამაგისტრო გამოცდისთვის/გასაუბრებისთვის განკუთვნილი ტესტებისა და კითხვების ნიმუშები.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

კლასტერის საერთო რჩევები:

• კულტურულ, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გააქტიურება პროფესიული პრაქტიკის მეტი შესაძლებლობის უზრუნველყოფისმიზნით.

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

კლასტერის საერთო რჩევები:

• მიზანშეწონილია, რომ აკადემიური პერსონალისა და პროგრამების მოწვეული მასწავლებლებისთვის უნივერსიტეტმა გააგრძელოს ტრენინგები სწავლებისა და სწავლის მეთოდების მიმართულებით .

2.4. სტუდენტის შეფასება

კლასტერის საერთო რჩევები:

• სასურველია, რომ სილაბუსში, 25-ქულიანი დავალებების კომპონენტში, დაზუსტდეს ცალკეული დავალებების წილი, ქულები და შეფასების მექანიზმი.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

კლასტერის საერთო რჩევები:

• სასურველია, რომ უსდ-მ სწავლებისა და აქტივობების პრაქტიკული ნაწილი უფრო მრავალფეროვანი გახადოს (მაგალითად: რეპეტიციებზე დასწრება, ფილმების ჩვენება ლექციებზე, ანსამბლებში მეტი პრაქტიკა და ა.შ.) კარგი იქნება, თუ სტუდენტებს ექნებათ სტაჟირების მეტი შესაძლებლობა.

• მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს დარგისთვის საჭირო უცხოური ლიტერატურის ქართულად თარგმნის მასშტაბი.

• კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი სტუდენტებს შესთავაზებს მეტ აქტივობას, მაგალითად, მასტერკლასებს, როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით. ამგვარად გაიზრდება კომუნიკაცია საშემსრულებლო სივრცის წარმომადგენლებთან.

• ფსიქოლოგის შტატი ხელს შეუწყობს სტუდენტების კეთილდღეობას.

• მართალია, უსდ შეძლებისდაგვარად უჭერს მხარს სტუდენტებს კვლევით საქმიანობაში (მაგალითად, სპეციალიზებულ ონლაინ პუბლიკაციებში სტატიების გამოქვეყნების კუთხით), მაგრამ ამ მიმართულებით მეტის გაკეთებაა საჭირო, განსაკუთრებით ფინანსური წახალისების თვალსაზრისით.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

კლასტერის საერთო რჩევები:

• აუცილებელია ხელმძღვანელებმა უფრო ინტენსიურად იმუშაონ სტუდენტებთან, მისცენ რჩევები და რეკომენდაციები აკადემიური წერის ნორმების შესახებ.

• მიზანშეწონილი იქნება ნაშრომის შესაძლო ხელმძღვანელთა რაოდენობის გაზრდა.

• სასურველია კვლევით პროექტებში ხელმძღვანელების ჩართულობის გაძლიერება.

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდებულია, რომ თეატროლოგიის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებს ჰყავდეთ განსხვავებული ხელმძღვანელები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადეკვატური დატვირთვა აკადემიური პერსონალისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, მეტი დრო დაუთმონ კვლევას.

პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდებულია, რომ თეატროლოგიის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებს ჰყავდეთ განსხვავებული ხელმძღვანელები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადეკვატური დატვირთვა აკადემიური პერსონალისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, მეტი დრო დაუთმონ კვლევას.

პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)

რეკომენდებულია, რომ კინომცოდნეობის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებს ჰყავდეთ განსხვავებული ხელმძღვანელები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადეკვატური დატვირთვა აკადემიური პერსონალისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, მეტი დრო დაუთმონ კვლევას.

პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა)

რეკომენდებულია, რომ კინომცოდნეობის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებს ჰყავდეთ განსხვავებული ხელმძღვანელები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადეკვატური

დატვირთვა აკადემიური პერსონალისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, მეტი დრო დაუთმონ კვლევას.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

კლასტერის საერთო რჩევები:

• მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა მის პერსონალში წაახალისოს ინგლისური ენის ტრენინგები.

• მიზანშეწონილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოიძიოს სახსრები და შეიმუშაოს აკადემიური პერსონალისთვის ფინანსური წახალისების პაკეტი.

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

კლასტერის საერთო რჩევები:

• შემუშავდეს ინდივიდუალური ბიუჯეტი თითოეული ინდივიდუალური პროგრამისთვის. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვასა და მართვას.

• უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს სახსრების მოზიდვის სტრატეგია პროგრამების ბიუჯეტის ზრდის უზრუნველსაყოფად.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ოფისმა, პროგრამის პერსონალთან ერთად, უნდა შეიმუშაოს არა მხოლოდ აღწერითი, არამედ უფრო ანალიტიკური თვითშეფასების ანგარიში და ერთად იმუშაოს პროგრამების სისუსტეების აღმოსაფხვრელად.

5.2. გარე ხარისხის შეფასება

კლასტერის საერთო რჩევები:

- განხორციელდეს გარე კოლეგიალური შეფასებები ცნობილ უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებული უცხოელი კოლეგებისგან ყველა პროგრამისთვის.

- შემუშავდეს გარე კოლეგიური შეფასების დეტალური, წინასწარ განსაზღვრული ფორმები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა, უსდ-ის არგუმენტირებული პოზიციის გულდასმით განხილვის შემდეგ გადახედა ანგარიშის ტექსტში არსებულ ზოგიერთ ფორმულირებას, რათა უფრო გასაგები გაეხადა ექსპერტების პოზიცია. გარდა ამისა, ზოგიერთი რეკომენდაცია შეიცვალა რჩევით. გარდა ამისა, რამდენიმე კომპონენტისა და სტანდარტების შეფასება გაუქმდა და შეიცვალა შემდეგნაირად:

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

**ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (1 და 4 პროგრამები არ შეფასებულა).

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

**ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება [5]

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **შეფასების მიდგომები:** |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |

[4]**შეფასების მიდგომები:** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები:** საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტის შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4,5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2024 წლების განვითარების სტრატეგიაში გაწერილ მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. აქ, სხვა მიზნებთან ერთად, დგინდება „ხელოვნების დარგების ისტორიისა და თეორიის სწავლება, შემუშავება და კვლევა“.
მიზნები ითვალისწინებს სწავლების დონეს და შეესაბამება პროგრამებში ასახული კვლევის კომპონენტის მზარდ დინამიკას. ყველა პროგრამის საერთო მიზანია ეროვნული შრომის ბაზრის მომარაგება თეატრის, კინოსა და ფოლკლორული ცეკვის კვალიფიციური სპეციალისტებით. უნივერსიტეტი ცდილობს, რომ პროგრამების კურსდამთავრებულებს შეეძლოთ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საქართველოში ხელოვნების გარკვეული დარგების განვითარებასა და პოპულარიზაციაში.
მიზნების ფორმულირება ძირითადად აღწერითი ხასიათისაა; გარდა ამისა, მათ აკლიათ სიმკაცრე და სიზუსტე. ძალიან ბევრი მიზანია და ისინი ძალიან დეტალურადაა აღწერილი (გარდა ქორეოლოგიის შემთხვევისა). ზოგადად, მიზნები უფრო სწავლის შედეგების მსგავსად არის ფორმულირებული.
გარკვეული პროგრამების მოცემულ ანალოგებში ბევრი შეუსაბამობაა (აღნიშნული პროგრამები არ ხორციელდება ან განსხვავებული პროფილისაა). ეს გვაფიქრებინებს, რომ რეალური შედარებითი ანალიზი არ ჩატარებულა.
უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოცემულია მხოლოდ ძველი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი მიზნების შესახებ: http://www.tafu.edu.ge/files/pdf/hum/Arts-KATALOGI-BA.pdf?fbclid=IwAR1a8rWuMeJhD9sjw2Btw-Ehm_aMCgTlTkTC88Tg4P8EISusZJa1jdoVTk4

პროგრამების კატალოგში კინომცოდნეობა, თეატროლოგია და ხელოვნებათმცოდნეობა ინტეგრირებულია ერთ პროგრამაში. ასე რომ, პროგრამის კატალოგი უნდა განახლდეს.

**აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (თეატროლოგია - საბაკალავრო პროგრამა)[6]**

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

საბაკალავრო პროგრამის „თეატროლოგიის" მიზნები შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას.

საბაკალავრო პროგრამა „თეატროლოგიის" მიზანია მოამზადოს თეატრის სპეციალისტები თეატრის ისტორიისა და თეორიის ფართო ცოდნით, ასევე ხელოვნების სხვა ისეთი დარგების ზოგადი აღქმით, როგორიცაა კინო, ფოტოგრაფია, ცეკვა, სახვითი ხელოვნება და ა.შ. პროგრამა მიზნად ისახავს, მოამზადოს ქართული თეატრის კრიტიკოსები და ისტორიკოსები, რომლებიც შეძლებენ გაანალიზონ და შეაფასონ პერფორმანსი წერილობითი და ზეპირი ფორმით და საჯაროდ დაასაბუთონ თავიანთი პროფესიული პოზიცია, ასევე, რომლებიც შეძლებენ ქართული თეატრის ისტორიის მიმართულებით კვლევის ჩატარებას. ზოგადად, პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო სფეროს, დონისა და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას; თუმცა, პროგრამის ზოგიერთი მიზანი არ არის საკმარისად ცხადი, მაგალითად, „გაუკვალოს გზა თეატრის-საშემსრულებლო-შემოქმედებითი წარმოების რეჟისურისა და წარმოების - თეტრალური პრეზენტაციის, პროფესიული აღქმის, პერფორმანსის აკადემიურ დონეზე შეფასებისა და ანალიზის მიმართულებით".

პროგრამაში ჩართული პერსონალი სრულად იზიარებს პროგრამის მიზნებს. მიზნები უფრო მეტად ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და არა საერთაშორისო

---

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

შრომის ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. უფრო მეტიც, მიზნები თითქმის არ ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.

**აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2 (თეატროლოგია, სამაგისტრო პროგრამა)**

თეატროლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები არასაკმარისად მკაფიოა, ფორმულირებები ბუნდოვანი და ზედმეტია (მაგ., „პროგრამის მიზანია მოამზადოს თეატროლოგიის კვალიფიციური ოსტატები, რომლებიც დაეუფლებიან არჩეულ სპეციალობას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკვალიფიკაციო მახასიათებლების დონეზე. "); მიზნების აღწერა წარმოდგენილია როგორც ესე და არა სტრუქტურირებული ექსპოზიცია. მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაშიც კი მიზნებისადმი მიძღვნილი ტექსტი ავტომატურად იყოფა ნაწილებად ყოველგვარი გადახედვის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ მიზნები არარეგულარული ფორმით არის წარმოდგენილი, პროგრამის ანალიზმა ცხადყო, რომ პროგრამის მიზანია, განათლება მისცეს თეატრის ექსპერტებს, კერძოდ კულტურული პროცესების ღრმა გაგებით და კვლევითი უნარ-ჩვევებით, რაც ხელს შეუწყობს დარგის და ქართული საზოგადოების განვითარებას. . შესაბამისად, ზოგადად, სამაგისტრო პროგრამის „თეატროლოგიის" მიზნები შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას.

პროგრამაში ჩართული პერსონალი სრულად იზიარებს პროგრამის მიზნებს. მიზნები უფრო მეტად ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და არა საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. უფრო მეტიც, მიზნები ორიენტირებულია ეროვნულ კონტექსტზე და ისინი თითქმის არ ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.

**აღწერა და ანალიზი -პროგრამა 3 (თეატროლოგია, სადოქტორო პროგრამა)**

სადოქტორო პროგრამის „თეატროლოგია" მიზნები შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას. თეატროლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს დამოუკიდებელი თეატრმცოდნეები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქართული თეატროლოგიის განვითარებას.

ნათქვამია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები „უპასუხებენ მსოფლიოს თანამედროვე მოთხოვნებს"; თუმცა, არ არის დაკონკრეტებული, რა არის ეს მოთხოვნები და როგორ მიიღწევა ეს მიზანი. პროგრამაში ჩართული პერსონალი სრულად იზიარებს პროგრამის მიზნებს. მიზნები უფრო მეტად ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და არა საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (კინომცოდნეობა - საბაკალავრო პროგრამა)

კინომცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კარგად არის განსაზღვრული, ისინი რეალისტური და მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებზეც ორიენტირებულია პროგრამა. კერძოდ, კინომცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძვლების ფართო ცოდნის მქონე სტუდენტების მომზადება; რომ სტუდენტებს ასწავლოს კინოს თეორია და კრიტიკა, კინოს ისტორია (მსოფლიო და ქართული), კინოჟურნალისტიკის არსი და მისცეს სტუდენტებს გარკვეული პრობლემური და თანამედროვე საკითხების კრიტიკული გაგების უნარი; კინოს მხატვრულ-შემოქმედებითი წარმოების - კინოს (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური) და სატელევიზიო წარმოების ნიმუშების პროფესიული შეფასების, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის ძირითადი უნარ-ჩვევების გამომუშავება. პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე ისტორიკოსის, თეორეტიკოს-კრიტიკოსის, კინოხელოვნების ანალიტიკოსის აღზრდას, რომელიც აღჭურვილი იქნება ჰუმანიტარული და ხელოვნების მეცნიერებათა საბაზისო თეორიული ცოდნით და მზად იქნება პროფესიული საქმიანობისთვის.

პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი მთავარი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების განვითარება და კვლევა (მათ შორის, პრიორიტეტია თეატრის, კინოს-ტელევიზია, ქორეოგრაფია, მუსიკალური ხელოვნება და ა.შ.) და ხელოვნების დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და პროფესიონალების აღზრდა. პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულებას, რომლის მიხედვითაც ფაკულტეტის ძირითადი მიზანია კვლევები ხელოვნების დარგებში (თეატროლოგია, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია) და უმაღლესი აკადემიური განათლების უზრუნველყოფა ამ დარგებში.

პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდეგ. ის ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები შეესაბამება სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიშის და დამსაქმებლებთან გასაუბრების თანახმად, შრომის ბაზარს ესაჭიროება კინომცოდნეობის კვალიფიცირებული სპეციალისტები , პრაქტიკული, ტექნიკური და ანალიტიკური უნარებითა და უცხო ენების ცოდნით. შესაბამისად, ისინი საჭიროდ მიიჩნევენ საგანმანათლებლო პროგრამების არსებობას კინომცოდნეობის დარგში კვალიფიციური სპეციალისტებისთვის. დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიშის მიხედვით, შრომის ბაზრის კვლევის სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა კინომცოდნეობის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე და ისინი წარმოადგენენ კინოსტუდიებს. ვინაიდან კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროა: მხატვრული, კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო დაწესებულებები; კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები; არქივები და მუზეუმები; ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია; ფესტივალები და ა.შ., სასურველია შრომის ბაზრის კვლევის ბაზის გაფართოება და მასში სხვა სუბიექტების ჩართვა, რათა პროგრამის მიზნები უფრო ზუსტად შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამის შემუშავებაში ჩართვას მხარი დაუჭირეს დაინტერესებულმა მხარეებმა: აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. პროგრამის მიზნები ცნობილია პროგრამაში ჩართული პირებისთვის, ისინი არის საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (განთავსებულია ძველი ვერსია ).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (კინომცოდნეობა -სამაგისტრო პროგრამა)**

კინომცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კარგად არის განსაზღვრული, ისინი რეალისტური და მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებზეც ორიენტირებულია პროგრამა. პროგრამის მიზანია: ღრმა და საფუძვლიანი განათლება მიაწოდოს მაგისტრატურის სტუდენტებს საქართველოსა და მსოფლიოს წამყვანი კინემატოგრაფიული ქვეყნების განვითარების პერიოდების, ტენდენციების, მიმართულებების, თავისებურებებისა და სხვათა შესახებ; განუვითაროს კრიტიკული აზროვნების უნარი, ასევე პროფესიული და ეთიკური უნარები; დაეხმაროს მაგისტრანტებს

სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებაში, დასრულებასა და დაცვაში, ასევე მისცეს მაგისტრანტს აკადემიური ხარისხი; აღზარდოს თანამედროვე მეცნიერ-მკვლევარი-თეორეტიკოსი და კინოისტორიკოს-თეორეტიკოსი, რომელიც შეძლებს აღმოაჩინოს ქართულ და მსოფლიო კინოხელოვნებაში მიმდინარე პროცესები და ახალი ტენდენციები და გაუზიაროს ისინი საზოგადოებას; ასწავლოს მათ სამეცნიერო ნაშრომის მომზადება; მოამზადოს ისინი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისთვის.

პროგრამა მიჰყვება უნივერსიტეტის მისიას, რადგან მისი თემები მოიცავს კინომცოდნეობის, ზოგადი ხელოვნებისა და კულტურის საკითხებს და ემსახურება თანამედროვე მოაზროვნე თეორეტიკოს-ისტორიკოსის, მკვლევარ-ანალიტიკოსის აღზრდას. უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, პროგრამა ხელს უწყობს ხელოვნების კვლევისა და ხელოვნების მეცნიერებების განვითარებას მისი მნიშვნელოვანი სეგმენტის - კინოს ისტორიის, თეორიისა და კრიტიკის სიღრმისეული სწავლებითა და შესწავლით და ის ხელს უწყობს დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, ქმნის საფუძველს კინომეცნიერების განვითარებისათვის.

პროგრამის მიზნების შეესაბამება სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულებას, რომლის მიხედვითაც ფაკულტეტის ძირითადი მიზანია კვლევები ხელოვნების დარგებში (თეატროლოგია, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია) და უმაღლესი აკადემიური განათლების უზრუნველყოფა ამ დარგებში.

პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდეგ. ის ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიშიდან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებიდან გამომდინარე, შრომის ბაზარს ესაჭიროება კვალიფიციური კინემატოგრაფები. ამის მიხედვით, კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური კინემატოგრაფების მომზადებას, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე; პროგრამის შედეგად მიღებული ექნებათ დარგობრივ/პროფესიული და ზოგადი კომპეტენციები. დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიშში შრომის ბაზრის კვლევის სამიზნე ჯგუფია კინოსტუდიები. ვინაიდან კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია: საშუალო სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები; მუზეუმები და არქივები; კვლევითი და სამეცნიერო დაწესებულებები;

სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი; ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდები; ტელევიზიები, ჟურნალ-გაზეთები და ა.შ., სასურველია შრომის ბაზრის კვლევის ბაზის გაფართოება და მასში სხვა სუბიექტების ჩართვა, რათა პროგრამის მიზნები უფრო ადეკვატური გახდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამის შემუშავებაში ჩართვას მხარი დაუჭირეს დაინტერესებულმა მხარეებმა: აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. პროგრამის მიზნები ცნობილია პროგრამაში ჩართული პირებისთვის, სინი არის საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (განთავსებულია ძველი ვერსია ).

## აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6(კინომცოდნეობა, სადოქტორო პროგრამა)

კინომცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კარგად არის განსაზღვრული, ისინი რეალისტური და მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებზეც ორიენტირებულია პროგრამა. პროგრამის მიზანია აღზარდოს თანამედროვე ტიპის მკვლევარ-მეცნიერი - კინოკრიტიკოსი, კინოთეორეტიკოსი და კინოისტორიკოსი; დოქტორანტებს მიაწოდოს პროგრამით განსაზღვრული კინოს ისტორიის, კრიტიკისა და თეორიის საკითხების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, განუვითაროს კრიტიკული აზროვნების უნარი და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები; აღზარდოს დამოუკიდებელი მეცნიერ-მკვლევარი, რომელიც შეძლებს აღმოაჩინოს, გაიაზროს კინოს ისტორიაში მიმდინარე პროცესები და ახალი ტენდენციები, თანამედროვე თეორიები და გაუზიაროს ისინი საერთაშორისო საზოგადოებას უფრო მაღალ პროფესიულ დონეზე. გარდა ამისა, პროგრამა შექმნილია დოქტორანტის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური, პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციების შემადგენელი როლებისთვის.

პროგრამა ჰარმონიაშია უნივერსიტეტის მისიაში ჩამოყალიბებულ მიზნებთან - ხელოვნების სფეროების განვითარება და კვლევა - რამდენადაც იგი იკვლევს კინმცოდნეობის საკითხებს: კინოს ისტორიას, კინორეალობას, კინო მითებს და არქეტიპული სახეების ფორმირების ცვლილებებს და დაკავშირებულია კლასიკურ და ახალ თეორიებთან, კვლევის უახლეს მეთოდებთან.

პროგრამის მიზნები შეესაბამება სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულებას, რომლის მიხედვითაც ფაკულტეტის ძირითადი მიზანია

კვლევები ხელოვნების დარგებში (თეატროლოგია, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია) და უმაღლესი აკადემიური განათლების უზრუნველყოფა ამ დარგებში.

პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდეგ. ის აღწერს, თუ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიშის მიხედვით, შრომის ბაზრის კვლევის სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა კინომცოდნეობის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე და ისინი წარმოადგენენ კინოსტუდიებს. ვინაიდან კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროა: სახელოვნებო და კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ორგანიზაციები, ფესტივალები, კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, არქივები, მუზეუმები, ბეჭდური მედია და ა.შ., სასურველია შრომის ბაზრის კვლევის ბაზის გაფართოება და მასში სხვა სუბიექტების ჩართვა, რათა პროგრამის მიზნები უფრო ზუსტად შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამის შემუშავებაში ჩართვას მხარი დაუჭირეს დაინტერესებულმა მხარეებმა: აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. პროგრამის მიზნები ცნობილია პროგრამაში ჩართული პირებისთვის, სინი არის საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (განთავსებულია ძველი ვერსია ).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7**(ეთნო-ქორეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

ეთნო-ქორეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას.

პროგრამის მიზანია მოამზადოს ცეკვის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ქართული ფოლკლორული ცეკვის კვლევას, თემატურ ბიბლიოგრაფიულ კატალოგებზე მუშაობას და საკონცერტო პროგრამის ან საცეკვაო პერფორმანსის ანალიზს და თავისი ცოდნის გაზიარებას სხვადასხვა აუდიტორიასთან.

პროგრამაში ჩართული პერსონალი სრულად იზიარებს პროგრამის მიზნებს. მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რადგან პროგრამა ორიენტირებულია ეროვნული კულტურის შესწავლაზე.

**აღწერა და ანალიზი -პროგრამა 8 (ქორეოლოგია - სადოქტორო პროგრამა)**

ქორეოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას. პროგრამა ქორეოლოგია მიზნად ისახავს, მოამზადოს ფოლკლორული ცეკვის დამოუკიდებელი მკვლევარი, რომელიც შეძლებს აკადემიურ შრომას უსდ-ში.

პროგრამაში ჩართული პერსონალი სრულად იზიარებს პროგრამის მიზნებს. ეთნო-ქორეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მსგავსად, მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რადგან პროგრამა ორიენტირებულია ეროვნული კულტურის კვლევაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2024 წლების განვითარების სტრატეგია
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები
- დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიში კინომცოდნეობის მიმართულებებზე
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- • გადაიხედოს პროგრამის მიზნების სიტყვიერი ფორმულირება, რათა უფრო ზუსტად და მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა პროგრამებს შორის.
- • პროგრამის მიზნები სასურველია უფრო მეტად დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს.
- • შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადიპრობლემების მხედველობაში მიღება.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- • ამოცანების სიტყვიერი ფორმულირების გადახედვა.

პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: მიზნების უფრო ნათლად და სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება.

რჩევები:

პროგრამა 3 (თეატროლოგია,, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები: • სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბის გაზრდა მასში დამატებითი სუბიექტების ჩართვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ადეკვატურ შესაბამისობაში იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები: • სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბის გაზრდა მასში დამატებითი სუბიექტების ჩართვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ადეკვატურ შესაბამისობაში იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები:

რჩევები: • სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბის გაზრდა მასში დამატებითი სუბიექტების ჩართვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ადეკვატურ შესაბამისობაში იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამა 7 (ეთნო-ქორეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 8 (ქორეოლოგია (დოქტორატურა))

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება[7]

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია, | X | ☐ | ☐ | ☐ |

[7]შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დოქტორანტურა) | | | | |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (ეთნო-ქორეოლოგია, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია (დოქტორატურა)) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

კლასტერში დაჯგუფებული საგანანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამისი დონის ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობის/ავტონომიურობის კომპონენტებს. მათი უმეტესობა მიღწევადი და გაზომვადია. გარდა ამისა, სწავლის შედეგები იძლევა როგორც განათლების უმაღლეს საფეხურებზე სწავლის გაგრძელების, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ „თითოეული მიმართულების აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, სხვადასხვა დონის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები მონაწილეობდნენ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში“, ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები არიან არ არიან ჩართული სწავლის შედეგების განვითარებაში. არ იყო წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სწავლის შედეგების აღწერა ცხადყოფს ძლიერ ორიენტაციას ცოდნის შეგროვებაზე და ყურადღებას ამახვილებს ისტორიაზე, ასევე გარკვეული კულტურული და მხატვრული ნაწარმებისა და ფენომენების ანალიზზე (ძირითადად ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დონეზე). უნივერსიტეტის ხედვაში მითითებული ამბიციური მიზნის მისაღწევად - გახდეს „ცნობილი და აღიარებული უნივერსიტეტი, რომელიც ორიენტირებულია პროგრესის

უნიკალურ და თანამედროვე გზაზე“ და „დაიკავოს წამყვანი პოზიცია საქართველოს, კავკასიის რეგიონის, ევროპისა და აზიის უმაღლეს სასწავლებლებს შორის“ - საჭირო იქნება აქცენტის გადატანა ისტორიული და თეორიული ცოდნის შეგროვებიდან (ძირითადი შემეცნებითი უნარები) უმაღლესი შემეცნებითი უნარების განვითარებაზე, როგორიცაა კრეატიულობა და კომპლექსური ინფორმაციის დამუშავება და ინტერპრეტაცია, ასევე სოციალური და ემოციური უნარები, როგორიცაა ლიდერობა, მეწარმეობა და ინიციატივის აღება.

ხშირ შემთხვევაში, არ არსებობს მკაფიო განსხვავება ცოდნას (მიღწევის ყველაზე დაბალი დონე), უნარებს (ცოდნის გამოყენება - მიღწევის შუალედური დონე) და ავტონომიასა და პასუხისმგებლობას (მიღწევის ყველაზე მოწინავე დონე) შორის. როგორც სწავლის შედეგების კლასიფიკაციის მაგალითი, შეიძლება გამოყენებულ იქნას CALOHEE შაბლონები (კვალიფიკაციის საცნობარო ჩარჩოები):

https://www.calohee.eu/templates/

**აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (თეატროლოგია, საბაკალვრო პროგრამა)**

რამდენადაც საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სტუდენტს მიაწოდოს ქართული და მსოფლიო თეატრის ისტორია საბაზისო ცოდნა, ასევე სპექტაკლის ანალიზის უნარ-ჩვევები, სწავლის შედეგების უმრავლესობა ეხება თეატრის განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და თავისებურებების ცოდნის , როგორც ხელოვნების სხვა ფორმების ძირითად პრინციპების, დემონსტრირების უნარს, . სწავლის შედეგების შაბლონში 1-ლი, მე-2 და მე-4 სწავლის შედეგები ეხება ცოდნას (მსოფლიო თეატრის ისტორია, ქართული თეატრის ისტორია, ხელოვნების სხვა ფორმების ისტორია), ამიტომ ისინი შეიძლება გაერთიანდეს ერთში. ზოგიერთი სწავლის შედეგი უფრო კურსის საგნის შედეგებს შეესაბამება, ვიდრე პროგრამისას. სწავლის შედეგები No 3, 5 და 6 აღწერს სტუდენტის ანალიზის, საჯარო პრეზენტაციისა და ცოდნის გავრცელების უნარებს (ისინი შეიძლება დაიყოს პროფესიულ და სოციალურ (ინტერპერსონალურ) უნარებად). მე-7 სწავლის შედეგი ეხება კვლევას და შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მიღწევის მაღალი დონე. მიღწევათა სამი დონის შესაბამისად სწავლის შედეგების კლასიფიკაცია არ არის მკაფიო: მაგალითად, რატომ

წარმოადგენს ბერძნული თეატრის ისტორიის ცოდნა მიღწევის პირველ დონეს (შესავალი), ხოლო მე-18 და მე-19 საუკუნეების ისტორია უკვე წარმოადგენს მე-3 დონეს (განმტკიცება).

პროგრამის სტრუქტურითა და შინაარსით ნავარაუდევია, რომ პროგრამა გვთავაზობს იმაზე მეტს, ვიდრე ეს სწავლის შედეგებშია მოცემული. მაგალითად, სტუდენტები ეცნობიან ფსიქოლოგიის, საჯარო მეტყველებისა და რიტორიკისსაფუძვლებს, ასე რომ, ეს კონკრეტული ცოდნა და უნარები შეიძლება შევიდეს სწავლის შედეგებში.

უნივერსიტეტი ატარებს შრომის ბაზრის გამოკითხვებს, თუმცა მათი ანალიზის შედეგები არ გამოიყენება თანმიმდევრულად სწავლის შედეგების შემუშავებისას. ანალოგიურად, ზოგიერთი დაინტერესებული მხარე, როგორიცაა მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, არ მონაწილეობენ სწავლის შედეგების განვითარების პროცესში.

**აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2 (თეატროლოგია, სამაგისტრო პროგრამა)**

პროგრამას აქვს სწავლის ხუთი შედეგი, რომლებიც არსებითად შეესაბამება პროგრამის მიზნებს (თუმცა ისინი საკმარისად მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული) და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიას. თუმცა, ზოგიერთი მათგანი ძნელად გაზომვადია, რადგან გამოიყენება ისეთი ფორმულირებები, როგორიცაა „ახალი ცოდნისადმი ღიაობა“. პროგრამის სწავლის შედეგები არსებითად შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; თუმცა, აქცენტი ცოდნის „ფლობიდან“ უნდა გადვიდეს ცოდნის „გამოყენებაზე“. სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევების მიწოდებით, პროგრამა კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს განაგრძონ სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე.

უნივერსიტეტი ატარებს შრომის ბაზრის გამოკითხვებს; თუმცა მათი ანალიზის შედეგები არ გამოიყენება თანმიმდევრულად სწავლის შედეგების შემუშავებისას. ანალოგიურად, ზოგიერთი დაინტერესებული მხარე, როგორიცაა მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, არ მონაწილეობენ სწავლის შედეგების განვითარების პროცესში.

**აღწერა და ანალიზი -პროგრამა 3 (თეატროლოგია, სადოქტორო პროგრამა)**

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ეხება თეატროლოგიის საგნის ბუნებისა და თავისებურებების განსაზღვრას; კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლებას და თეატროლოგიის შესაბამისი პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის უნარს. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას და ავტონომიას. ისინი შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურს. ასევე, ისინი შეესაბამება სასწავლო სფეროს თავისებურებებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს (ძირითადად სწავლების, რედაქტირებისა და ისტორიულ კვლევაზე მუშაობისას). რამდენადაც პროგრამაში არ არის ბევრი ადამიანი ჩართული , ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ პროგრამის შემუშავებაში, მათ შორის სწავლის შედეგების განვითარებაში .

თუმცა, სწავლის შედეგების აღწერა არ არის მკაცრად მეთოდური, არამედ აღწერითი ხასიათისაა. შერეულია მიღწევების სხვადასხვა დონე (მაგალითად, ერთსა და იმავე აბზაცში ჯერ მოდის „ახალი ცოდნის შექმნა", შემდეგ კი „გეგმავს კვლევას"). მას აკლია საერთაშორისო განზომილება და აკლია კვლევის შედეგების სხვადასხვა დონეზე გავრცელების უნარები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (კინომცოდნეობა - საბაკალავრო პროგრამა)**

კინომცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი კვალიფიკაციის მიხედვით - „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი კინომცოდნეობაში". ისინი შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მოიცავს შინაარსობრივ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას და შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოს საბაკალავრო დონეს. პროგრამის დასრულების შედეგად, კურსდამთავრებულები იძენენ ზოგად, ფართო ცოდნას ჰუმანიტარულ და საშემსრულებლო მეცნიერებებში და უვითარდებათ კომპეტენციები (ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, მასალაში ორიენტირება და მისი კლასიფიკაცია, დასკვნების გამოტანა, ღირებულებების გაგება, ავტონომიური და ეთიკური მიდგომა და ა.შ.), რაც საშუალებას აძლევთ, იყვნენ კონკურენტუნარიანები დასაქმების ბაზარზე და დასაქმდნენ სხვა მომიჯნავე სფეროებში, რომლებშიც დაწესებულია კომპეტენციის მსგავსი მოთხოვნები.

სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. ისინი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან, რასაც ადასტურებს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო

კურსებისა და თემების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება სასწავლო გეგმის რუკით.

დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებამ გამოავლინა აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებაში. დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (კინომცოდნეობა -სამაგისტრო პროგრამა)

კინომცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „კინომცოდნეობის მაგისტრი“, ეფექტურად ეხმიანება პროგრამის მიზნებს, მოიცავს შინაარსზე დაფუძნებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას და შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურის საკვალიფიკაციო ჩარჩოს. პროგრამის დასრულების შემდეგ კინომცოდნეობის მაგისტრი: აღწერს/აანალიზებს განვითარების ეტაპებს და მთავარ ტენდენციებს კინოს ისტორიაში; დეტალურად და საფუძვლიანად განსაზღვრავს ხელოვნების ნიმუშის სტრუქტურას; კრიტიკულად აღიქვამს კინემატოგრაფიასთან დაკავშირებულ საკითხებს, ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს და განიხილავს მათ ახალი კუთხით; დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევით და სხვა სახის პროფესიულ საქმიანობას; ანალიტიკურ თემაზე მუშაობის პროცესში ისტორიულ-თეორიულ და აუდიო-ვიზუალურ წყაროებზე დაყრდნობით ახორციელებს კვლევის მასალის სისტემატიზაციას და კატალოგირებას; ამზადებს კვლევის ან/და კონფერენციის მოხსენებას, აბსტრაქტს, სამეცნიერო ნაშრომს; ნაშრომზე მუშაობისას ითვალისწინებს კინოს სტილისტურ მახასიათებლებს, აკადემიურ ნორმებს და წარმოადგენს ამ ნაშრომს; იცნობს საველე კვლევის მეთოდებს და მომიჯნავე დისციპლინების სპეციფიკას;

სწავლის შედეგები ავლენს თანმიმდევრულ კავშირს პროგრამის მიზნებთან, რასაც ადასტურებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის რუკა. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსებისა და თემების ერთობლიობა

უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება სასწავლო გეგმის რუკით.

ინტერვიუებმა ცხადყო, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყვნენ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, სადოქტორო პროგრამა)**

კინომცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ზედმიწევნით შემუშავებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციის - „კინომცოდნეობის დოქტორის"- შესაბამისად, პროგრამის მიზნებთან, მოიცავს შინაარსობრივ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიას, და შეესაბამება სადოქტორო დონის კვალიფიკაციის ჩარჩოს .

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს საფუძვლიანი ცოდნა კინოს ისტორიისა და უახლესი თეორიების შესახებ; სისტემატურად და კრიტიკულად ესმის კინოს ისტორია, კრიტიკა და თეორია, ასევე პოლიტიკურ-სოციალური და ისტორიული ურთიერთობებისა და კინოხელოვნების ურთიერთმიმართების საკითხები; სიღრმისეულად ესმის კინოსა და თეორიის თანამედროვე თეორიები და კლასიკური ნაშრომები, ზოგადკულტურული, თანამედროვე ფილოსოფიური, სოციოლოგიური დოქტრინების სფეროების მნიშვნელოვანი თეორიული საკითხები; ფლობს დარგში კვლევის თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს; ქმნის ახალ ცოდნას დარგში, კინოს სამეცნიერო ცოდნაზე, საგნის ცოდნასა და გააზრებაზე დაყრდნობით; სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით, კინოს თანამედროვე თეორიების გააზრებით და საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე სფეროებთან ურთიერთობის დამყარებით, ხელს უწყობს კინოს ისტორიის, კრიტიკისა და თეორიის სფეროს ახალი ცოდნით გამდიდრებას.

სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან, რასაც ადასტურებს პროგრამის

მიზნები და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსებისა და თემების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება სასწავლო გეგმის რუკით.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების საშუალებით დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობამ ხელი შეუწყო პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას. დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

**აღწერა და ანალიზი - ეთნო-ქორეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა**

ვინაიდან პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, სწავლის შედეგები მათ შეესაბამება და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას და ავტონომიას. არსებობს 8 სწავლის შედეგი, რომლებიც გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. ისინი შეესაბამება სამაგისტრო სწავლის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის დასრულების შემდეგ მიღებული კვლევები და სხვა უნარები კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს განაგრძონ სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე. ისინი შეესაბამება სასწავლო სფეროს თავისებურებებს. გაურკვეველი დარჩა, რა არის შრომის ბაზრის რეალური მოთხოვნა, რადგან სპეციალობა საკმაოდ ექსკლუზიურია და არ არის მოწოდებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი -ქორეოლოგია - სადოქტორო პროგრამა**

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას და ავტონომიას. ქორეოლოგიის დამთავრების შემდეგ დოქტორის ხარისხის მქონე პირს შეუძლია განსაზღვროს ქორეოგრაფიული კვლევის თანამედროვე ფორმები და მეთოდები; საცეკვაო ხელოვნების ნიმუშის/ნიმუშების კომბინაციის კომპლექსური კვლევითი ანალიზის ჩატარება; ქართული ცეკვის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად დანერგვა; ხელოვნების (ქორეოგრაფია) სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების შეთავაზება; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლეს სამეცნიერო და მეთოდოლოგიურ დონეზე სალექციო კურსების წარმართვა.

სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. ისინი შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურს. ასევე, ისინი შეესაბამება სასწავლო სფეროს თავისებურებებს. თუმცა, ვინაიდან ქართული ფოლკლორული ცეკვის მკვლევარებზე მოთხოვნა დიდი არ არის და დასაქმების არეალი საკმაოდ შეზღუდულია, ღირს სწავლის შედეგების დიაპაზონის გაფართოებისა და სტუდენტებისთვის მეტი სხვადასხვა კომპეტენციების მინიჭების შესაძლებლობის განხილვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- ინტერვიუების შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- სწავლის შედეგების განვითარების პროცესში მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: სწავლის შედეგების კლასიფიკაციის გადახედვა.

რჩევები: სწავლის შედეგების გაფართოება ისეთი საგნების ჩართვით, როგორიცაა ფსიქოლოგია, საჯარო მეტყველება და საჯარო გამოსვლებსა და დებატებში მონაწილეობის კულტურა.

პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: სწავლის შედეგების ფორმულირების გადახედვა, რათა ისინი გაზომვადი გახდეს.

რჩევები: სწრაფვა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისკენ და არა ცოდნის დაგროვებისკენ.

პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები:

- • სწავლის შედეგების ფორმულირებისა და კლასიფიკაციის გადახედვა..
- • დაემატოს საერთაშორისო განზომილება და კვლევის შედეგების სხვადასხვა დონეზე გავრცელების უნარები.

რჩევები:

პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 7 (ეთნო-ქორეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 8 (ქორეოლოგია (დოქტორატურა))

რეკომენდაციები:

რჩევები: სწავლის შედეგების დიაპაზონის გაზრდა და სტუდენტებისთვის უფრო მრავალფეროვანი კომპეტენციების მიწოდების უზრუნველყოფა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (თეატროლოგი ა, ბაკალავრიატი ) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (თეატროლოგი ა,, | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მაგისტრატურა) | | | | |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია,, დოქტორანტურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (ეთნო-ქორეოლოგია, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია (დოქტორატურა)) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

## კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე ირიბ (არაპირდაპირ) მეთოდებს. უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას: სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგსა და სასწავლო კურსებისა და სასწავლო პერსონალის შეფასებას - ყოველი სემესტრის ბოლოს; თვითშეფასებებს აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო/სამეცნიერო/შემოქმედებით საქმიანობაზე – ყოველწლიურად; კურსდამთავრებულთა გამოკითხვასა და ბაზრის კვლევას (დამსაქმებელთა მოთხოვნების განსაზღვრა) - 3-5 წელიწადში ერთხელ და ა.შ.

სწავლის შედეგის არაპირდაპირ შესაფასებლად უნივერსიტეტი იყენებს: სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს; აკადემიური პერსონალის/მასწავლებლების/მოწვეული პროფესორების გამოკითხვის შედეგებს; პროგრამაში მონაწილე სტუდენტების აკადემიური მოსწრებას; სტუდენტთა გადინების მონაცემებს, რომელთაც მობილობით სურთ სწავლის გაგრძელება სხვა პროგრამებსა თუ უნივერსიტეტებში; პროგრამაში სწავლის მსურველი მობილობით შესული სტუდენტების მაჩვენებელს; პროგრამის კურსდამთავრებულთა საშუალო ქულას (GPA); გარე ქართველი და უცხოელი ექსპერტების შეფასებას; პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს და მათი დასაქმების ან/და სწავლის გაგრძელების სტატისტიკას.
უნივერსიტეტის დებულებით (საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და შეფასების მექანიზმების ფორმირება) „...პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობა არ უნდა იყოს ძალიან ბევრი. მიზანშეწონილად მიჩნეულია 6-დან 12-მდე სასწავლო შედეგის შემუშავება. სწავლის შედეგების ფორმულირებისთვის, ჩვეულებრივ გამოიყენება ბლუმის შესწორებული ტაქსონომია ... ზემოაღნიშნული ზმნების გამოყენებით უფრო ადვილი იქნება სასწავლო შედეგის/შედეგების სირთულის გაგება და მათი შეფასება. თითოეული კურსის სწავლის შედეგი ბმაში უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან, თუკი ვამბობთ, რომ გარკვეული კურსი ავითარებს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს. ასევე შესაძლებელია მიეთითოს თუ რამდენად ავითარებს კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. დონეების მითითების მაგალითი: 1 - გაცნობა, 2 - გაღრმავება, 3 – გაძლიერება. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი შემუშავებული უნდა იყოს სამივე დონეზე. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც პროგრამის სწავლის შედეგები გამყარებულია სასწავლო გეგმის რუკის მიხედვით (სასწავლო დონე -3). შესაძლებელია პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგის შეფასება ერთ სასწავლო კურსში...“(გვ.3-5)
**აუცილებელია სწავლის შედეგის შეფასების რუკაში (გარდა ეთნო-ქორეოლოგიის სამაგისტრო და ქორეოლოგიის სადოქტორო პროგრამების რუკების) მიეთითოს სამივე დონის სასწავლო კურსები (შესავალი; გაღრმავება; განმტკიცება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.**

უნივერსიტეტის დებულებით „...პირდაპირი შეფასების მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სასწავლო შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, სიმულაცია, საკურსო ნაშრომი, საკვალიფიკაციო ნაშრომი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს ბევრ სხვა უნარს და ცოდნას პროგრამის სწავლის შედეგის მიღმა...." (გვ. 5–6). **აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შეფასების რუკებზე მითითებულია შეფასების კონკრეტული ფორმები სასწავლო კურსიდან/კურსებიდან თითოეული სწავლის შედეგის გასაზომად. თუმცა, კურსის საბოლოო შეფასება გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად. საბოლოო შეფასებასთან ერთად აუცილებელია სამიზნე ნიშნულის დადგენა შესაბამისი სასწავლო კურსებიდან კონკრეტული შეფასების ფორმის მიხედვით თითოეული სწავლის შედეგის გასაზომად.**

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, ერთი სწავლის შედეგის ჩამოყალიბებისას, გამოიყენება რამდენიმე ზმნა, რაც ართულებს სწავლის შედეგის მიღწევის გაზომვას (მაგალითად, თეატროლოგიის საბაკალავრო პროგრამის პირველი შედეგის ფორმულირებაში გამოყენებულია 8 ზმნა. ფაქტობრივად, ერთი შედეგის ნაცვლად ერთ პარაგრაფში გაერთიანებულია 8 შედეგი). გარდა ამისა, სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოიყენება ისეთი ზოგადი ზმნები, როგორიცაა „იცის“, „აქვს ცოდნა“, „გაგება“ და ა.შ. რაც ართულებს სწავლის შედეგების შეფასებას და გაზომვას. **იმისათვის, რომ სწავლის შედეგები იყოს ადვილად გაზომვადი, სასურველია გამოიყენოთ ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან მაქსიმუმ ორი-სამი ზმნა, რომელიც აღნიშნავს კონკრეტულ ქმედებას პროგრამის ერთი სწავლის შედეგის ფორმულირებისას.**

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** 1 (თეატროლოგია – საბაკალავრო პროგრამა)[8]
აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტების მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.
იხილეთ კლასტერული შეფასება 1.3-ისთვის
აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (თეატროლოგია - სამაგისტრო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

იხილეთ კლასტერული შეფასება 1.3-ისთვის

---

*[8] აუცილებლობის შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში არსებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომელიც გამოირჩევა საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი და ძირითადი მახასიათებლებისგან კლასტერში.*

*აუცილებლობის შემთხვევაში, პროგრამების რაოდენობის მიხედვით, გთხოვთ, დაამატოთ სტრიქონების შესაბამისი რაოდენობა (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმა თითოეული კომპონენტის შეფასების შემდეგ).*

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (თეატროლოგია – სადოქტორო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

იხილეთ კლასტერული შეფასება 1.3-ისთვის
**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (კინომცოდნეობა – საბაკალავრო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

იხილეთ კლასტერული შეფასება 1.3-ისთვის
**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (კინომცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

იხილეთ კლასტერული შეფასება 1.3-ისთვის
**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6** (კინომცოდნეობა – სადოქტორო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

იხილეთ კლასტერული შეფასება 1.3-ისთვის
**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ეთნო–ქორეოლოგია - სამაგისტრო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

იხილეთ კლასტერული შეფასება 1.3-ისთვის
**აღწერა და ანალიზი** - პროგრამა 8 (ქორეოლოგია – სადოქტორო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ,

გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

იხილეთ კლასტერული შეფასება 1.3-ისთვის

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
o საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შექმნისა და შემუშავების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა
o საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და შეფასების მექანიზმების ფორმირება
o სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სწავლების ხარისხის შეფასების წესი
o ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი 2022-2023 სასწავლო წლის მონაცემების მიხედვით;
o საგანმანათლებლო პროგრამები
o პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების რუკა
o პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება
o სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულება
o სწავლის შედეგების ზოგადი შეფასება-ანალიზი სემესტრში - 2022-2023 წლების შემოდგომის სემესტრი.
o ბაზრის კვლევის დოკუმენტები
o კმაყოფილების კვლევის ფორმები
o დისტანციური სწავლების გამოკითხვის ფორმები
o პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები
o პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები
o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;
o თვითშეფასების ანგარიში.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- **სწავლის შედეგების შეფასების რუკაში (გარდა ეთნო-ქორეოლოგიის სამაგისტრო და ქორეოლოგიის სადოქტორო პროგრამების რუკების) მიეთითოს სამივე დონის სასწავლო კურსები (შესავალი; გაღრმავება; განმტკიცება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.**
- **შესაბამისი სასწავლო კურსებიდან კონკრეტული შეფასების ფორმის საფუძველზე სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, სწავლის თითოეული შედეგის გასაზომად.**

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- **პროგრამის ერთი სასწავლო შედეგის ფორმულირებისას, ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან გამოიყენეთ კონკრეტული მოქმედების აღმნიშვნელი მაქსიმუმ ორი-სამი ზმნა.**

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (თეატროლოგია – საბაკალავრო პროგრამა)
**რეკომენდაციები**: იხილეთ კლასტერული რეკომენდაციები 1.3-ისთვის
რჩევები:
**პროგრამა 2** (თეატროლოგია – სამაგისტრო პროგრამა)
რეკომენდაციები: იხილეთ კლასტერული რეკომენდაციები 1.3-ისთვის
რჩევები:
**პროგრამა 3** (თეატროლოგია – სადოქტორო პროგრამა)
რეკომენდაციები: იხილეთ კლასტერული რეკომენდაციები 1.3-ისთვის
რჩევები:
**პროგრამა 4** (კინომცოდნეობა – საბაკალავრო პროგრამა)
რეკომენდაციები: იხილეთ კლასტერული რეკომენდაციები 1.3-ისთვის
რჩევები:
**პროგრამა 5** (კინომცოდნეობა – სამაგისტრო პროგრამა)
რეკომენდაციები: იხილეთ კლასტერული რეკომენდაციები 1.3-ისთვის
რჩევები:
**პროგრამა 6** (კინომცოდნეობა – სადოქტორო პროგრამა)
რეკომენდაციები:
რჩევები: იხილეთ კლასტერული რჩევები 1.3-ისთვის
**პროგრამა 7** (ეთნო–ქორეოლოგია - სამაგისტრო პროგრამა)
რეკომენდაციები: იხილეთ კლასტერული რეკომენდაციები 1.3-ისთვის
რჩევები:
**პროგრამა 8** (ქორეოლოგია – სადოქტორო პროგრამა)
რეკომენდაციები: იხილეთ კლასტერული რეკომენდაციები 1.3-ისთვის
რჩევები:

შეფასება
გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (თეატროლოგია** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| – საბაკალავრო პროგრამა) | | | | |
| პროგრამა 2 (თეატროლოგია – სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია – სადოქტორო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა – საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა – სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა – სადოქტორო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (ეთნო–ქორეოლოგია - სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია – სადოქტორო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები იქმნება უნივერსიტეტის ნორმატიული დოკუმენტით - „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, ჩამოყალიბების, შემუშავების მეთოდოლოგია და დამტკიცების წესი“. პროგრამების სტრუქტურა ითვალისწინებს სწავლის დონეს და აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ECTS საკრედიტო სისტემის გამოყენებით. პროგრამების შინაარსი, რომელიც ასახავს დარგის თავისებურებებს, შეესაბამება მინიჭებულ კვალიფიკაციას. პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი არსებითად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას; თუმცა, გარკვეული გადახედვა იქნება საჭირო იმისათვის, რომ მოამზადოს დარგის სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია მუშაობა არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო კონტექსტშიც. ძირითადად, პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია და საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში ნათქვამია, რომ „პროგრამის განახლებისას მხედველობაში იქნა მიღებული დარგის უახლესი კვლევის თანამედროვე მიღწევები და შედეგები (ლიტერატურა და კვლევის საკითხები პერიოდულად ახლდება სასწავლო კურსებში)“, ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ დარგის თანამედროვე სამეცნიერო მიგნებებზე წვდომა საკმაოდ შეზღუდულია და დაკარგულია თეატრის, კინოსა და ცეკვის უახლესი კვლევების მთელი დისკურსი. უფრო მეტიც, ნათქვამია, რომ „პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ანალოგიების გამოყენებით და საერთაშორისო ასპარეზზე არსებული ტენდენციების გათვალისწინებით“ და აღმოჩნდა, რომ ეს უფრო მეტად განზრახვაა. აღმოჩნდა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ანალოგებად მითითებული ბევრი პროგრამა განსხვავებული პროფილის მქონეა ან საერთოდ არ არსებობს. უნივერსიტეტი ცდილობს ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის განახლებაში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (თეატროლოგია - საბაკალავრო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

თეატროლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება ბაკალავრიატის სწავლის დონეს. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული, რაც უზრუნველყოფს შინაარსის ლოგიკურ განვითარებას. პროგრამა აერთიანებს საუნივერსიტეტო დონის საბაზისო, დამხმარე და არჩევით კურსებს. ბოლო სემესტრში, გარდა

სასწავლო კურსებისა, გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის განხორციელება. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის დასაწყისში სტუდენტები სწავლობენ აკადემიური წერას და ინგლისურ ენას, ასევე ისეთ საგნებს, როგორიცაა ფსიქოლოგია, მეტყველების კულტურა და ინფორმაციული ტექნოლოგიები. სტუდენტს ეძლევა ფართო ცოდნა თეატრის ისტორიისა და ხელოვნების სხვა ფორმების ისტორიის შესახებ. ასევე, პრაქტიკული კურსების საშუალებით გამოუმუშავდებათ თამაშისა და შესრულების ანალიზის უნარები. სასწავლო გეგმის სტრუქტურაში აშკარად ვლინდება ისტორიაზე დიდი აქცენტი და შედარებით მცირე ყურადღება ექცევა თანამედროვე თეატრსა და მის თეორიებს. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი საკმარისად არ ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს, თუმცა დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია. ადგილზე ვიზიტის დროს, პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფთან შეხვედრებმა ცხადყო, რომ ინგლისური ენის სწავლების დონე და მასშტაბი არ არის საკმარისი და არ იძლევა აკადემიურ ლიტერატურასთან ადვილად მუშაობის და ცოდნის საჯაროდ წარმოდგენის საშუალებას(რაც სწავლის ერთ-ერთი შედეგია). ასევე, სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით, საჭირო იქნება სტუდენტებისთვის მეტი პრაქტიკული აქტივობების მიწოდება და სწავლის პერიოდში პროფესიულ გარემოსთან მეტი კონტაქტის დამყარების შესაძლებლობის დანერგვა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (თეატროლოგია - სამაგისტრო პროგრამა)

თეატრმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება მაგისტრატურაში სწავლის დონეს. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული და უზრუნველყოფს შინაარსის ლოგიკურ განვითარებას. პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის განსაზღვრულია 120 ECTS კრედიტი: 40 ECTS გამოყოფილია კვლევასთან დაკავშირებულ დისციპლინებზე (აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები, საკურსო ნამუშევარი და სამაგისტრო ნაშრომი) და 80 ECTS კრედიტი ეთმობა დანარჩენ საგნებს.
პროგრამა შედგება სამი ძირითადი მოდულისგან: თანამედროვე მსოფლიო თეატრი, თეატრის კრიტიკა და თეორია და ქართული თეატრი. აქ განსხვავება საბაკალავრო დონის კვლევებისგან არ არის ადეკვატური. ზოგიერთი საგანი დიდწილად იმეორებს საბაკალავრო საგნების შინაარსს (მაგალითად, დრამის თეორია); გარდა ამისა, უმეტესი ყურადღება ეთმობა თეატრს და მის თეორიებს მე-20 საუკუნეში. სილაბუსების ანალიზმა აჩვენა, რომ თანამედროვე თეატრისა და დრამის თეორიების დისკურსი საერთოდ არ არის ჩართული. თვითშეფასების ანგარიშში აქცენტი გაკეთებულია კვლევის ახალ მეთოდებზე; თუმცა, აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების სილაბუსში არც ერთი საკითხი არ ეხება კვლევის მეთოდებს უშუალოდ საშემსრულებლო ოსტატობის შესწავლის კვლევებში. გარდა ამისა, საგნის "ქართული თეატრის კრიტიკა და თეორია XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს –ში" ძირითადი წყარო გამოიცა რამდენიმე ათეული წლის წინ - 1983 წელს. ეს ფაქტები არ უზრუნველყოფს სწავლის ზოგიერთი შედეგის მიღწევას, კერძოდ, „უახლეს თეორიულ კვლევებზე დაფუძნებული ღრმა, სისტემატური ცოდნის მიღებას“.
გარდა ამისა, პროგრამის ინტერნაციონალიზაცია არ არის დამაკმაყოფილებელი: ძალიან ცოტა უცხოენოვანი ლიტერატურა შედის და დაბალია უცხოელი კოლეგების ჩართულობის დონე პროგრამის შინაარსის შემუშავებაში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (თეატროლოგია - სადოქტორო პროგრამა)

თეატრმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა გულისხმობს 60 სასწავლო ECTC-ის დაგროვებას და სამეცნიერო კომპონენტის შესრულებას. სასწავლო საგნები ითვალისწინებს სემინარებს სამიდან ერთ მოდულზე (მსოფლიო თეატრის ისტორია, დრამა და თეატრის თეორია და უახლესი ქართული თეატრი). ასევე შედის პედაგოგიური პრაქტიკა და ისეთი საგნები, როგორიცაა საგანმანათლებლო კანონმდებლობა და უმაღლესი სასკოლო პედაგოგიკა. ასევე, დოქტორანტს შეუძლია აირჩიოს რამდენიმე საგანი არჩევითი კურსების ბლოკიდან. სამეცნიერო კომპონენტში შედის კვლევითი პროექტი (დისერტაცია) და სადოქტორო კოლოკვიუმი (წელიწადში ერთხელ), სადაც სტუდენტი წარადგენს კვლევის შედეგებს და მონაწილეობს სამეცნიერო დისკუსიაში. კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სტუდენტი და ხელმძღვანელი მჭიდროდ თანამშრომლობენ და ხელმძღვანელის მხარდაჭერა, როგორც ჩანს, საკმარისია, თუმცა არ არსებობს მათი რეგულარული შეხვედრების ფიქსირებული გრაფიკი. აღსანიშნავია, რომ მოცემული კვლევის მიმართულებებში შემოთავაზებული თემები საკმაოდ კონსერვატიულია და არ მოიცავს თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების შესაბამისი პრობლემების სფეროს. ვინაიდან დოქტორანტურაში გათვალისწინებული არ არის თანმიმდევრული ობიექტური გარე შეფასება, კვლევის სიახლე წარმოადგენს პრობლემას. სტუდენტებს ურჩევენ გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, თუმცა მხოლოდ რამდენიმე სარგებლობს ამ შესაძლებლობით. იმ შემთხვევაში, თუ მათ არ აქვთ გამოქვეყნებები მაღალრეიტინგულ ჟურნალში, მაშინ აუცილებელია ჰქონდეთ რეცენზია უცხოელი ექსპერტისგან. ვიზიტის დროს მოწოდებული ამ რეცენზიების მაგალითები ადასტურებს სადოქტორო კვლევების გარკვეულ სიმწირეს, მაგალითად ემერიტუსი პროფესორი და ალბერტას უნივერსიტეტის ჰუკულაკის კათედრის გამგე ანდრეი ნაჰაჩევსკი თავის მიმოხილვაში წერს: „თუ მიზანია გარე (დასავლეთის?) მკვლევარმა შეაფასოს თეზისი, კარგი იდეა შეიძლება იყოს ამ კვლევის ცალსახად დაკავშირება დასავლურ სწავლებასთან. ეს აბსტრაქტი არ შეიცავს მითითებებს დასავლურ მეცნიერულ ლიტერატურაზე, რაც იძლევა აკადემიური იზოლაციის განცდას.“

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (კინომცოდნეობა - საბაკალავრო პროგრამა)
კინომცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა ზედმიწევნით შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტთან - „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის, შემუშავების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურასთან“. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სწავლის დონეს და შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ECTS საკრედიტო სისტემის გამოყენებით. პროგრამის მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლების დონეს; პროგრამის გეგმური ხანგრძლივობაა 4 წელი, ანუ 8 სემესტრი და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურული დიზაინი კრედიტებში ასე გამოიყურება: სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები - 129 ECTS; ზოგადი კურსები (მათ შორის დამხმარე და ინგლისური) - 81 ECTS; არჩევითი კურსი - 30 ECTS.
პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ანალოგიების გამოყენებით (კრასტიო სარაფოვის სახელობის თეატრისა და კინოს ხელოვნების ეროვნული აკადემია, ბულგარეთი; თეატრისა და კინოს ეროვნული უნივერსიტეტი, რუმინეთი; კიევის კარპენკო–კარის თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა; ) და ითვალისწინებს საერთაშორისო სივრცეში არსებულ ტენდენციებს. პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის განახლებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შედგება ძირითადი და დამხმარე პროფილის, ძირითადი ზოგადსაუნივერსიტეტო, დამხმარე და არჩევითი კურსებისგან.
სასწავლო გეგმის პროფესიული ბლოკი არის მოდული, რომლის შემადგენელი საგნები იცვლება დონეების მიხედვით. მოდულები განაწილებულია სილაბუსებში. სპეციალობის მოდულებით - "კინოკრიტიკა და თეორია" და "კინოს ისტორია (მსოფლიო და ქართული კინო)" - სტუდენტი იძენს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, ეუფლება აკადემიურ წერას, გაიწაფება კრიტიკულ და ანალიტიკურ ზეპირ დისკუსიაში, ეცნობა დებატების ხელოვნებას, კინოხელოვნებისა და შემოქმედებითი კვლევის მიდგომებსა და მიმართულებებს, კინოხელოვნების განვითარების კანონზომიერებებს. თეორიული ცოდნის და ანალიტიკური უნარების შეძენა ვლინდება დასკვნით პროექტში - საბაკალავრო ნაშრომში.
დამსაქმებლის გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის სტუდენტები სათანადო ანაზღაურებით აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კინოფესტივალების ორგანიზაციულ საკითხებში. დამსაქმებლების აზრით, ინგლისურის გარდა დამატებითი უცხო ენის ცოდნის შემთხვევაში სტუდენტებს დასაქმების მეტი შანსი ექნებათ. სასურველია, სტუდენტებს შესთავაზოთ არჩევითი კურსები სხვა უცხო ენაზე/ენებზე, რაც მნიშვნელოვანია როგორც პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, ასევე სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობისთვის.
მომავალი კინომცოდნის პროფესიული კომპეტენციების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფილმის ყველა კომპონენტის, მათ შორის ფერწერისა და მუსიკის ფუნქციების გააზრება. ამ მიზნით სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი "კინემატოგრაფიული ხელოვნება" გადავიდეს საბაზო კურსების ბლოკში. ასევე, ამავე ბლოკისთვის მომზადდეს სასწავლო კურსი "მუსიკა კინოში".
სტრატეგიული რეკომენდაციაა არჩევითი სასწავლო კურსი "კინოარქივის საქმე" გადავიდეს საბაზისო კურსების ბლოკში, ვინაიდან სასწავლო კურსით შეძენილი ცოდნა საარქივო დოკუმენტებისა და კინომასალის შესწავლასა და დამუშავებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება ბაკალავრის სტუდენტს შეაფასოს წარსული და მიმდინარე მოვლენები, ასევე, განუვითაროს  კვლევითი და ანალიტიკური უნარები.
კინოკრიტიკისა და თეორიის მოდულის სასწავლო კურსების გავლის წინაპირობები გულისხმობს ამავე მოდულის წინა სემესტრების სასწავლო კურსების ათვისებას. სასურველია, წინაპირობებში მიუთითოთ სასწავლო კურსის/კურსების დასახელება.
სასწავლო კურსის "კინემატოგრაფიული ხელოვნების საფუძვლების" გავლის წინაპირობები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „კინოსა და ფოტოგრაფიის ისტორია, სახვითი ხელოვნების ისტორია. სასურველია სასკოლო ფიზიკის (ოპტიკის კანონების) ცოდნა“. მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ სასწავლო კურსის გავლის წინაპირობები და მიუთითოთ სასწავლო კურსი/კურსები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული კურსის გასავლელად, რაც ასევე მნიშვნელოვანია ელექტრონულ ჟურნალში სასწავლო კურსის პირობების ზუსტი მითითებისთვის.
სასწავლო კურსების „თანამედროვე მსოფლიო კინო (1970-1980)“ და „თანამედროვე მსოფლიო კინო (1990-2010)“ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურაში ქართულენოვან ლიტერატურასთან ერთად შედის ინგლისურენოვან ლიტერატურაც. მიზანშეწონილია, აღნიშნულ კურსებზე დაშვების წინაპირობაზე მიეთითოს, რომ კურსი ითვალისწინებს ინგლისური ენის ცოდნის შესაბამის დონეს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (კინომცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)
კინემატოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა ზედმიწევნით ზუსტად არის ფორმულირებული და სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტში მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტთან - „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის, შემუშავების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა“.

პროგრამის სტრუქტურა სრულად ითვალისწინებს სწავლის დონეს და შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ECTS საკრედიტო სისტემის გამოყენებით. პროგრამის მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლების დონეს. პროგრამის გეგმური ხანგრძლივობაა 2 წელი, მოიცავს 4 სემესტრს და 120 კრედიტს. აქედან 80 კრედიტი გათვალისწინებულია სასწავლო კურსებზე, ხოლო 40 კრედიტი ეთმობა კვლევის უნარების შეძენასა და განვითარებას.
პროგრამა შემუშავებულია საბაკალავრო საფეხურზე მიღებული ზოგადი განათლების შემდგომი განვითარების მიზნით. იგი მოიცავს ორ ძირითად საგანმანათლებლო და კვლევით მიმართულებას, რომლებიც წარმოდგენილია ორ მოდულში: "კინოკრიტიკა და თეორია' და "კინოს ისტორია", საიდანაც სტუდენტი ირჩევს ერთს სწავლის პირველი სემესტრის დასაწყისში.
პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ანალოგიების გამოყენებით (კრასტიო სარაფოვის სახელობის თეატრისა და კინოს ხელოვნების ეროვნული აკადემია, ბულგარეთი; თეატრისა და კინოს ეროვნული უნივერსიტეტი, რუმინეთი; კიევის კარპენკო–კარის თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა;) და ითვალისწინებს საერთაშორისო სივრცეში არსებულ ტენდენციებს. პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის განახლებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.
პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის აწყობილი და მასში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად ვითარდება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6** (კინომცოდნეობა - სადოქტორო პროგრამა)
კინომცოდნეობის სადოქტორო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის - „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შემუშავების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურის“ მიხედვით. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სწავლის დონეს და შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ECTS საკრედიტო სისტემის გამოყენებით. პროგრამის მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლების დონეს. სწავლების ხანგრძლივობა - 6 –10 სემესტრი პროგრამა ითვალისწინებს 60 ECTS-ის დაგროვებას და სამეცნიერო კომპონენტის შესრულებას.
სადოქტორო პროგრამა აერთიანებს ორ ძირითად სასწავლო-კვლევით მიმართულებას - "კინოს ისტორია" და "კინოს თეორია" და ორ ძირითად მოდულს: 1. კინოს ისტორია: ეტაპები, პრობლემები და ტენდენციები; 2 კინოს თეორია: დრო და არქეტიპები კინოს თანამედროვე თეორიებში. პირველი სემესტრის დასაწყისში პროგრამის სტუდენტი ირჩევს პროგრამის მიერ შემოთავაზებულ ერთ-ერთ მოდულს.
პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ანალოგიების გამოყენებით (კრასტიო სარაფოვის სახელობის თეატრისა და კინოს ხელოვნების ეროვნული აკადემია, ბულგარეთი; თეატრისა და კინოს ეროვნული უნივერსიტეტი, რუმინეთი; კიევის კარპენკო–კარის თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა; ) და ითვალისწინებს საერთაშორისო სივრცეში არსებულ ტენდენციებს. პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის განახლებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.
პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი და სტრუქტურა, ძირითადად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

თუმცა, პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები არ მოიცავს კურსს, რომელიც ორიენტირებულია დოქტორანტის მკვლევრად ჩამოყალიბებაზე და სადოქტორო დისერტაციის შესრულების მეთოდოლოგიაზე. პროგრამის არჩევით კურსებში წარმოდგენილი სასწავლო კურსის - აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების სტატუსი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „სავალდებულო სასწავლო კურსი სამაგისტრო და დოქტორანტურის აკადემიური საფეხურის სტუდენტებისთვის (კურსი სავალდებულოა დოქტორანტურის იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ გაუვლიათ აღნიშნული კურსი მაგისტრატურის აკადემიურ პროგრამაში)“, შეუსაბამოა: თუ აღნიშნული კურსი სავალდებულოა, ის უნდა იყოს წარმოდგენილი საბაზისო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. ასევე, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე იდენტური სილაბუსები დაუშვებელია.
რეკომენდებულია მომზადდეს კურსი, რომელიც ორიენტირებული იქნება სადოქტორო დონის შესაბამისი კვლევის მეთოდებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ეთნო–ქორეოლოგია - სამაგისტრო პროგრამა)
ეთნო–ქორეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის უნიკალურობა განისაზღვრება ხელოვნებათმცოდნეობის და ეთნოლოგიის ელემენტების შერწყმით. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას: ერთი მოდული ეძღვნება ქართული ქორეოგრაფიის თეორიასა და კრიტიკას, მეორე კი ქორეოგრაფიულ მემკვიდრეობას. გარდა ამისა, სტუდენტებს უვითარდებათ აკადემიური წერის უნარები და მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა. ასევე წარმოდგენილია პედაგოგიკის ზოგიერთი საფუძვლები. გარდა ამისა, სასწავლო გეგმაში არის ისეთი კომპონენტები, როგორიცაა რეფერატის შექმნა და პრეზენტაცია, საკურსო ნამუშევარი, ჟურნალის გამოცემა ქართულ და უცხოენოვან ლიტერატურაზე, კონფერენციის მოხსენება და საჩვენებელი ლექციის პრეზენტაცია. ასევე ხელმისაწვდომია რამდენიმე არჩევითი კურსი. საერთო ჯამში, პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებას 120 ECTS ოდენობით. მათ შორის 40 ECTS განკუთვნილია კვლევის უნარების განვითარებაზე, ხოლო 80 ECTS აკადემიური დისციპლინებისთვის. ასე რომ, პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული და უზრუნველყოფს შინაარსის ლოგიკური განვითარებას. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება მაგისტრატურის სწავლის დონეს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა ფოლკლორული ცეკვისადმი მიდგომა, ძირითადად დისციპლინურია. ინტერდისციპლინურმა მიდგომამ და ეთნოლოგიის თანამედროვე პერსპექტივებმა შესაძლოა გააძლიეროს პროგრამის შინაარსი და უზრუნველყოს, პროგრამის მიერ კვლევის ახალი შედეგებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (ქორეოლოგია - სადოქტორო პროგრამა)
ქორეოლოგიის სადოქტორო პროგრამა განსაზღვრავს სამეცნიერო და საგანმანათლებლო კომპონენტების ერთობლიობას, ჯამში 60 ECTS. სასწავლო კომპონენტი მოიცავს სპეციალურ სემინარებს, როგორიცაა ქორეოგრაფიის სინკრეტიზმი - ინტერდისციპლინარული შესწავლა, ფოლკლორული ცეკვის კვლევის ფორმები და მეთოდოლოგია, ქორეოგრაფიის ანთროპოლოგია და ა.შ. პედაგოგიური პრაქტიკა და ისეთი საგნები, როგორიცაა საგანმანათლებლო კანონმდებლობა და უმაღლესი სასკოლო პედაგოგიკა. ასევე, დოქტორანტს შეუძლია აირჩიოს რამდენიმე საგანი არჩევითი კურსების ბლოკიდან. სამეცნიერო კომპონენტში შედის კვლევითი პროექტი (დისერტაცია) და სადოქტორო კოლოკვიუმი (წელიწადში ერთხელ), სადაც სტუდენტი წარადგენს კვლევის შედეგებს და მონაწილეობს სამეცნიერო დისკუსიაში. კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სტუდენტი და ხელმძღვანელი მჭიდროდ თანამშრომლობენ და ხელმძღვანელის მხარდაჭერა, როგორც ჩანს,

საკმარისია, თუმცა არ არსებობს მათი რეგულარული შეხვედრების ფიქსირებული გრაფიკი. უნდა აღინიშნოს, რომ ქორეოლოგიის კვლევის მთელი სფერო საკმაოდ დახურულად გამოიყურება და ძირითადად ერთ ადამიანზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, შემოთავაზებული კვლევის თემების ზოგიერთი ფორმულირება (მაგალითად, „გამომსახველობითი საშუალებები ქორეოგრაფიაში“) არ ითვალისწინებს კვლევის ინოვაციურ ხასიათს. ანალოგიურად, საკითხები კრიტიკის მიმართულებით ავლენს კვლევის კონსერვატიულ მიდგომას. კვლევის მრავალფეროვნებისა და სიახლის უზრუნველსაყოფად, საჭიროდ მიგვაჩნია დარგის მეტი სპეციალისტის ჩართვა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია.
- კურიკულუმის რუკა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუების შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- **პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, სხვადასხვა რეგიონის ექსპერტებთან მუდმივი თანამშრომლობისა და პარტნიორობის დამყარებით.**
- **შეიტანეთ მეტი უცხოენოვანი ლიტერატურა.**
- **კვლევის ხარისხის ამაღლება როგორც პერსონალის, ასევე მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინდივიდუალური კვლევის დონეზე.**
- **ინგლისური ენის ცოდნის დონის გაზრდა.**

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

- **ახალი კვლევის შედეგებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინება.**

- **<u>სტუდენტებისთვის მეტი პრაქტიკული საქმიანობის მიწოდება და სწავლის პერიოდში პროფესიულ გარემოსთან მეტი კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა.</u>**

რჩევები:

პროგრამა 2 (თეატროლოგიაა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- **<u>უზრუნველყავით, რომ მიღწევების დონე შეესაბამებოდეს მაგისტრატურაში სწავლის დონეს და არ გაიმეორდეს ბაკალავრის დონის შინაარსი.</u>**
- **<u>უზრუნველყავით თანამედროვე თეატრისა და დრამის თეორიების დისკურსის არსებობა.</u>**
- **<u>განაახლეთ ლიტერატურა.</u>**

რჩევები:

პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები:

- **<u>გაზარდეთ კვლევის დონე.</u>**
- **<u>გაზარდეთ ინტერნაციონალიზაციის დონე.</u>**

რჩევები:

პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

- რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსებზე მიღების წინაპირობების სისტემატური და ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება. მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული სასწავლო კურსი/კურსები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული კურსის გასავლელად.
- სასურველია სტუდენტებს შევთავაზოთ დამატებითი უცხო ენების არჩევითი კურსები, რაც მნიშვნელოვანია როგორც პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, ასევე სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობისთვის.
- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსის „კინოარქივის საქმე“ გადაიტანოთ საბაზისო კურსების ბლოკში, რადგან სასწავლო კურსით მოწოდებული საარქივო დოკუმენტებისა და კინომასალის შესწავლა და დამუშავება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ წარსულისა და მიმდინარე მოვლენების შეფასებას, ასევე კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას.
- რეკომენდებულია, რომ ჩამოთვლილი კურსების სილაბუსებში: „თანამედროვე მსოფლიო კინო (1970-1980)“ და „თანამედროვე მსოფლიო კინო (1990-2010 წწ.)“, - დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის სათანადო დონე.
- მომავალი კინოს მცოდნის პროფესიული კომპეტენციების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია არჩევითი სასწავლო კურსი „კინემატოგრაფიული ხელოვნების დიზაინი“ გადავიდეს საბაზისო კურსების ბლოკში. ასევე, ამავე ბლოკისთვის მომზადდეს სასწავლო კურსი „მუსიკა კინოში“.

პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:
რჩევები:

პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა)
რეკომენდაციები: სასწავლო კურსის მომზადება სადოქტორო დონის შესაბამისი კვლევის მეთოდებისა და უნარების განვითარებაში.
რჩევები:

პროგრამა 7 (ეთნო–ქორეოლოგია, მაგისტრატურა)
რეკომენდაციები:
რჩევები:

- ინტერდისციპლინურმა მიდგომამ და ეთნოლოგიის თანამედროვე პერსპექტივამ შესაძლოა გააძლიეროს პროგრამის შინაარსი და უზრუნველყოს პროგრამაში კვლევის ახალ შედეგების და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინება.

პროგრამა 8 (ქორეოლოგია, დოქტორანტურა)
რეკომენდაციები:
- საჭიროა დარგის მეტის სპეციალისტის ჩართვა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება კვლევის მრავალფეროვნებისა და სიახლის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

შეფასება
გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა) | ☐ | ☐ | X | ☐ |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (ეთნო–ქორეოლოგია, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია, დოქტორანტურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ზოგადად, აკადემიური საგნების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამულ სწავლის შედეგებს და თითოეული აკადემიური საგნის შინაარსი შეესაბამება კონკრეტული საგნის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო საგნისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ საგნის შინაარსს და სწავლის შედეგებს; თუმცა, სტუდენტისთვის დატვირთვა საკმაოდ დიდია. ბევრი საკონტაქტო საათია განკუთვნილი თითოეული კურსისთვის, თუმცა სტუდენტებს შეეძლოთ ლიტერატურის მოძიება და წაკითხვა დამოუკიდებლად და ბევრი დავალების შესრულება. თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი ფასდება.
სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტის მიერ მიღებული ერთიანი წესით და იძლევა სრულ ინფორმაციას სასწავლო საგნის სტატუსის, ფორმატის, მიზნების, შედეგების, შინაარსის, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის შესახებ.
უნივერსიტეტი ცდილობს უზრუნველყოს თარგმანები და/ან სახელმძღვანელოები ძირითად დისციპლინებზე (ძირითადად ისტორიასა და თეატრზე, კინოსა და ცეკვაზე). თუმცა, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის საერთო პრობლემაა მოძველებილი ლიტერატურა (განსაკუთრებით რუსულ ენაზე) და უახლესი წიგნების ნაკლებობა, რომელიც ეძღვნება თეატრის, კინოსა და ცეკვის

თანამედროვე თეორიებსა და პრაქტიკას. ასევე შეზღუდულია კვლევის ახალი მეთოდოლოგიების გამოყენება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ზოგადად, სასწავლო გეგმაში შემავალი აკადემიური საგნების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამულ სწავლის შედეგებს და თითოეული აკადემიური საგნის შინაარსი შეესაბამება ამ საგნის სწავლის შედეგებს. გარკვეული საგნების მიზნების ჩამოყალიბებისას მოცემულია უზარმაზარი რაოდენობის მონაცემები (მაგალითად, „ასწავლოს სტუდენტებს თეატრისა და დრამატურგიის არსებითი მახასიათებლების შესახებ“); ამ მიზნის მისაღწევად საგნისთვის განკუთვნილია საკონტაქტო საათების დიდი დატვირთვა (დაახლოებით 50-60 საათი სემესტრში). ეს არ შეესაბამება უმაღლესი განათლების თანამედროვე ტენდენციებს, სადაც მთავარი მიზანია მიეცეთ სტუდენტებს რთული ინფორმაციის დამუშავებისა და ინტერპრეტაციის საშუალება, ვიდრე მიეწოდოთ ძირითადი ისტორიული და თეორიული ცოდნა. სტუდენტებს მიეწოდებათ უამრავი ინფორმაცია სხვა სფეროებიდან (ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ანთროპოლოგია და ა.შ.), რომელიც კონკრეტულად არ არის დაკავშირებული თეატრმცოდნეობის სპეციალობასთან. აუცილებელია ლიტერატურის განახლება და ძველ რუსულ წიგნებზე უარის თქმა. თეატრმცოდნეობის შესავალში აკლია თეატრის თეორიის თანამედროვე დისკურსი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (თეატროლოგია, მაგისტრატურა)

ზოგადად, სასწავლო გეგმაში შემავალი აკადემიური საგნების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამულ სწავლის შედეგებს და თითოეული აკადემიური საგნის შინაარსი შეესაბამება ამ საგნის სწავლის შედეგებს. თითოეულ საგანზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ საგნის შინაარსს და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია. თუმცა, საგნის შინაარსობრივ დონესა და სწავლის მიღწევების დონესთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ განსხვავება ბაკალავრის დონის სწავლებისგან არ არის სრულად ადეკვატური. გრძელდება თეატრის ისტორიის გაცნობა; ზოგიერთი საგანი დიდწილად იმეორებს ბაკალავრის დონის საგნების შინაარსს (მაგალითად, დრამის თეორია); გარდა ამისა, ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობა თეატრს და მის თეორიებს მე-20 საუკუნეში. სილაბუსების ანალიზმა აჩვენა, რომ თანამედროვე თეატრისა და დრამის თეორიების დისკურსი საერთოდ არ არის ჩართული. აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების სილაბუსში არ შედის საშემსრულებლო ოსტატობის კვლევის სპეციალური მეთოდები. აუცილებელია ლიტერატურის განახლება და ძველ რუსულ წიგნებზე უარის თქმა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (თეატროლოგია, დოქტორანტურა)

აკადემიური საგნების შინაარსი (სპეციალური სემინარები) და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ საგნით და თეატრმცოდნეობის მთელი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, სილაბუსებში მითითებული ყველა სასწავლო მასალა არ არის ხელმისაწვდომი: ზოგიერთი შენიშვნა ეხება წიგნებს, რომელიც გუგლში იძებნება, მაგრამ არ არის მათზე სრული წვდომა. თანამედროვე ანალიზის მეთოდების სილაბუსებში არ შედის კვლევის უახლესი მეთოდები. გარდა ამისა, ეს საგანი მხოლოდ მე-4 სემესტრში შემოდის, თუმცა შესაძლოა უფრო სასარგებლო იყოს კვლევის მრავალფეროვნების ადრეულად გაცნობა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი)

კინომცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების კრედიტების განაწილება (სასწავლო კურსები წარმოდგენილია 2, 3, 4, 5 ან 6 კრედიტით) ძირითადად შეესაბამება კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს; სააუდიტორიო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას; სააუდიტორიო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. თუმცა, სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის მითითებული, რომელ კომპონენტებზე იქნება განაწილებული სააუდიტორიო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები. ამიტომ გაუგებარია რამდენი საათი ეთმობა ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას და ა.შ.

გარდა ამისა, გადასახედია ზოგიერთი კურსის კრედიტების რაოდენობა. კერძოდ, სასწავლო კურსების მოცულობა: საგნებში– "კინოს საფუძვლები - მხატვრული ფილმი" და "კინოს საფუძვლები - დოკუმენტური ფილმი" შეადგენს 2-2 კრედიტს და თეორიულ საკითხთა შესწავლასთან ერთად ითვალისწინებს სტუდენტების მიერ მცირე ზომის მხატვრული და დოკუმენტური ფილმების გადაღებას, რაც შეუსაბამოა ამ მოცულობის სამუშაოსთვის. რეკომენდებულია აღნიშნული სასწავლო კურსების კრედიტები ადეკვატურად გადანაწილდეს კურსის სირთულისა და შესასრულებელი ამოცანების მიხედვით. გარდა ამისა, ფილმის გადაღება ბუნებრივია, მოითხოვს კინემატოგრაფიის ხელოვნების ცოდნას. "კინემატოგრაფიის საფუძვლები - მხატვრული ფილმი" და "კინემატოგრაფიის საფუძვლები - დოკუმენტური ფილმი" ისწავლება მე-3 და მე-4 სემესტრში, მაშინ როცა, "კინემატოგრაფიული ხელოვნების საფუძვლები" გათვალისწინებულია მე-7 სემესტრში. რეკომენდებულია "კინემატოგრაფიის საფუძვლების" სწავლება აღნიშნული კურსების პარალელურად, რათა კურსი დაეხმაროს სტუდენტებს პრაქტიკული დავალებების მომზადებაში.

სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან. თუმცა ზოგიერთ სილაბუსში, სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში სასწავლო რესურსად მითითებულია „მასწავლებლის მიერ მოწოდებული მასალა“. ზემოთქმული მითითება არ იძლევა ინფორმაციას, თუ რა შინაარსს, მოცულობას და პერიოდს მოიცავს აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსები. ასევე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სავალდებულო ლიტერატურა. რეკომენდებულია სილაბუსებში ასეთი ფრაზის ჩანაცვლება კონკრეტული სასწავლო რესურსებით და მათი განთავსება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსების მიზნებისა და შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება. ასევე, ამავე სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურას უნდა დაემატოს მხატვრული და დოკუმენტური ფილმების შესახებ არსებული საგანმანათლებლო რესურსები.

თემები სასწავლო კურსში "ევროპის სხვა ქვეყნებისა და აზიის კინო, დოკუმენტური ფილმი და ანიმაცია 1930-1960 წლებში" მოიცავს მხოლოდ იაპონურ კინოს. სასწავლო კურსის დასახელებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია თემატიკაში შევიდეს ზოგადად აზიის სხვა ქვეყნების კინემატოგრაფია.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)

კინომცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილ საგანმანათლებლო კურსებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საგანმანათლებლო კურსები

წარმოდგენილია 5 კრედიტით) შეესაბამება კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს; სააუდიტორიო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. თუმცა, სილაბუსში უნდა დაზუსტდეს, როგორ გადანაწილდება სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათები, რათა სტუდენტისთვის ცხადი იყოს, რამდენი საათი ეთმობა ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ მუშაობას, შუალედური და ფინალური გამოცდები მომზადებას და ა.შ.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ნაწილობრივ შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და გარკვეულწილად უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან. ზოგიერთ სასწავლო კურსზე სასურველია ლიტერატურის განახლებისთვის ეფექტური ღონისძიებების გატარება, ვინაიდან რამდენიმე სილაბუსში, სავალდებულო ლიტერატურაში აღნიშნულია სასწავლო რესურსები, რომლებიც იდენტურია „კინომცოდნეობის“ რესურსებისა, რომელიც იკითხება საბაკალავრო პროგრამაში. რეკომენდებულია პროგრამის ორივე დონის სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და განახლება; ხოლო თუ საჭიროა იდენტური ლიტერატურის გამოყენება, მოხდეს მათი გამოყოფა გვერდების მითითებით.

ზოგიერთ სილაბუსში კურსზე დაშვების წინაპირობები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „წინა სემესტრებში გავლილი სავალდებულო და არჩევითი კურსები“ ან „სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ უცხო ენების კარგი ცოდნა დავალებების შესაფერისად შესასრულებლად“. რეკომენდებულია სასწავლო კურსის გავლის წინაპირობები მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული სილაბუსებში და მიეთითოს კონკრეტული კურსის გასავლელად აუცილებელი სასწავლო კურსი/კურსები. და რამდენადაც მაგისტრატურის სტუდენტებისთვის B2 საფეხურზე ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა, კურსის გავლის წინაპირობა მსგავს განმარტებას არ საჭიროებს.

რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსი "დასავლეთ ევროპის კინო", რომელშიც ხდება თემებისა და ლიტერატურის დუბლირება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებიდან: კინოს პრეისტორია, კინოწარმოების დაბადება და ჩამოყალიბება, მუნჯი კინოს განვითარების ძირითადი ეტაპები, ამერიკული, ფრანგული, იტალიური და გერმანული კინო 1930-1960 წწ., სხვა ევროპული ქვეყნებისა და აზიის კინო, დოკუმენტური კინო და ანიმაცია 1930-1960 .

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6** (კინომცოდნეობა, სადოქტორო პროგრამა)

კინომცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ საგანმანათლებლო კურსებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საგანმანათლებლო კურსები წარმოდგენილია 5 კრედიტით) შეესაბამება კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს; თანაფარდობა სააუდიტორიო და დამოუკიდებელ საათებს შორის არის ადეკვატური და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას; სააუდიტორიო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს თუმცა, საჭიროა დაზუსტდეს სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათები, რამდენი საათი ეთმობა ლექციებს, სემინარებს, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას.

სასწავლო კურსის სილაბუსში "აუდიოვიზუალური ხელოვნების გავლენა მე-20 საუკუნის საზოგადოების ფორმირებაზე" ქართულენოვან ლიტერატურასთან ერთად სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურა. მიზანშეწონილია, აღნიშნულ კურსზე დაშვების წინაპირობაზე მიეთითოთ, რომ კურსი ითვალისწინებს რუსული ენის შესაბამის დონეს.

იმისათვის, რომ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამებოდეს მიმართულების/დარგის თანამედროვე მიღწევებს და უახლეს კვლევებს, მნიშვნელოვანია მათი განახლება ან მომზადდეს რიდერი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ეთნო–ქორეოლოგია, მაგისტრატურა)
პროგრამა გვთავაზობს ორ ძირითად მოდულს: ქართული ქორეოგრაფიის თეორია და კრიტიკა და ქორეოგრაფიული მემკვიდრეობა. ისინი დაყოფილია რამდენიმე სასწავლო კურსად. ორი მათგანი შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს. ცეკვის ნოტაციის ფორმები და მეთოდოლოგია გულისხმობს მაგისტრანტის მუშაობას ქორეოგრაფიულ ანსამბლში, ხოლო ქართული სასცენო-ხალხური ქორეოგრაფიული მემკვიდრეობა გულისხმობს სტუდენტის მუშაობას საქართველოს ეროვნულ არქივში. სილაბუსების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ მოდულების დასრულება უზრუნველყოფს ქორეოლოგიის ღრმა და სისტემატური ცოდნის შეძენას და საჭირო პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ასე რომ, აკადემიური საგნების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს თითოეული საგნით და მთელი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება სწავლის სფეროში მიღწევებს და ასევე ითვალისწინებს უახლეს კვლევებს ქორეოლოგიაში. შეიძლება აღინიშნოს, რომ ბევრი საგანი შექმნილია ერთი და იგივე ავტორის მიერ, ხოლო მიდგომების მრავალფეროვნებამ შესაძლოა გააუმჯობესოს კვლევის ხარისხი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (ქორეოლოგია, დოქტორანტურა)
სასწავლო საგნების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს თითოეული საგნით და მთელი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ქორეოლოგიის დარგში მიღწევებს. აკლია ეთნო–ქორეოლოგიისა და ცეკვის ანთროპოლოგიის უახლესი კვლევის დისკურსი. კიდევ ერთხელ, როგორც ეთნო-ქორეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი საგანი შექმნილია ერთი და იგივე ავტორის მიერ, მიდგომების მრავალფეროვნებამ კი შესაძლოა გააუმჯობესოს სწავლის ხარისხი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- <u>განაახლეთ ლიტერატურა უახლესი წიგნებით, რომლებიც ეძღვნება თეატრის, კინოსა და ცეკვის თანამედროვე თეორიებსა და პრაქტიკას.</u>

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1**პროგრამა 1** (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)
**რეკომენდაციები:**
**რჩევები:**

- <u>საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობის გათვალისწინება.</u>
- <u>დამხმარე დისციპლინების შინაარსის თეატრმცოდნეობის სპეციფიკასთან მორგების შესაძლებლობაზე დაფიქრება.</u>

**პროგრამა 2** (თეატროლოგია, მაგისტრატურა)
**რეკომენდაციები:**

- <u>საგნის დონეზე, უფრო მაღალი დონის მიღწევების უზრუნველყოფა.</u>
- <u>საშემსრულებლო ხელოვნებისთვის, კონკრეტული კვლევის მეთოდების შემოტანა.</u>

**რჩევები:**

**პროგრამა 3** (თეატროლოგია, დოქტორანტურა)

- <u>სილაბუსებში მითითებული ყველა სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</u>

**რჩევები:**

- <u>თანამედროვე ანალიზის მეთოდების სილაბუსში ჩართეთ საშემსრულებლო კვლევის უახლესი მეთოდები.</u>

- <u>განიხილეთ, თანამედროვე ანალიზის მეთოდების კურსის სასწავლო პროგრამაში უფრო ადრე შემოტანის შესაძლებლობა.</u>

**პროგრამა 4** (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი)
**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, რომ ჩამოთვლილი კურსების სილაბუსებში: „კინოწარმოების საფუძვლები - მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები - დოკუმენტური ფილმი“ - რაციონალურად განისაზღვროს კრედიტების რაოდენობას კურსისა და შესასრულებელი დავალებების სირთულის შესაბამისად.
- რეკომენდებულია „კინემატოგრაფიული ხელოვნების საფუძვლების“ სწავლება ჩამოთვლილი კურსების პარალელურად: „კინოწარმოების საფუძვლები – მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები – დოკუმენტური ფილმი“ - რათა კურსი დაეხმაროს სტუდენტებს პრაქტიკული დავალებების მომზადებაში.

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსების „კინოწარმოების საფუძვლები – მხატვრული ფილმი“ და „კინოწარმოების საფუძვლები – დოკუმენტური ფილმი“ - მიზნებისა და შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება.
- ზემოაღნიშნული კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურას უნდა დაემატოს მხატვრული და დოკუმენტური კინოს შესახებ არსებული საგანმანათლებლო რესურსები.
- რეკომენდებულია სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში ფრაზა „მასწავლებლის მიერ მოწოდებული მასალა“ შეიცვალოს კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსით და განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რჩევები:

- მიზანშეწონილია სილაბუსში დაკონკრეტდეს, თუ რამდენი საათი იქნება დათმობილი სხვადასხვა კომპონენტებზე  სალექციო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რათა ნათელი იყოს, რამდენი საათი ეთმობა ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას; და ა.შ.

- სასწავლო კურსის „„სხვა ევროპული ქვეყნებისა და აზიის კინო,  დოკუმენტური და ანიმაციური ფილმი 1930-1960 წწ.“ თემატიკა აზიური ფილმებიდან მოიცავს მხოლოდ იაპონურ კინოს . სასწავლო კურსის სათაურიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია თემაიკაში ზოგადად აზიის სხვა ქვეყნების კინემატოგრაფიის ჩართვა.

- უნდა გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზი შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: „კინომცოდნეობის შესავალი“, „კინომცოდნეობის საფუძვლები და კინოს თეორია“, „კინოთეორიის კლასიკა და კინოენის ჩამოყალიბება“, „კინოს ჟანრები და მხატვრული ტენდენციები“, „ახალი კინოს მიმართულებები და კინოთეორიები“, „კინოკრიტიკა და კინოჟურნალისტიკის სპეციფიკა (ბეჭდურ, ტელე და ელექტრონულ მედიაში)“, „კინო ფილოსოფიური თეორიების ასპექტში“, „თანამედროვე მსოფლიო კინო (1970-1980)“ და „თანამედროვე მსოფლიო კინო (1990-2010)“ და გრაფაში „შეფასების სისტემა და კრიტერიუმები“ სიტყვა „დოქტორანტი“ შეიცვალოს „ბაკალავრიატის სტუდენტით“.

პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის გავლის წინაპირობები მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული სილაბუსებში და მიეთითოს კონკრეტული კურსის გასავლელად საჭირო სასწავლო კურსი/კურსები. და რადგან სამაგისტრო დონეზე B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა, ამიტომ კურსის გავლის წინაპირობად უცხო ენის ცოდნის მითითება აუცილებელი აღარაა.
- რეკომენდებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და განახლება და, ერთი და იგივე საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში, მათი გამოყოფა გვერდების მითითებით.

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის „დასავლეთ ევროპის კინოს“ გადახედვა, რომელშიც მეორდება თემები და ლიტერატურა საბაკალავრო პროგრამის ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან: „კინოს პრეისტორია, კინოწარმოების დაბადება და ჩამოყალიბება“, „მუნჯი კინოს განვითარების ძირითადი ეტაპები“, „ამერიკული, ფრანგული, იტალიური და გერმანული კინო 1930-1960 წწ.“, „სხვა ევროპული ქვეყნებისა და აზიის კინო, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმი 1930-1960 წწ.“

რჩევები:

- მიზანშეწონილია სილაბუსში დაკონკრეტდეს, თუ რამდენი საათი იქნება დათმობილი სხვადასხვა კომპონენტებზე სალექციო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რათა ნათელი იყოს, რამდენი საათი ეთმობა ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას; და ა.შ.

პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა)

- რეკომენდაციები: • რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება ან რიდერების მომზადება, რათა ისინი შეესაბამებოდეს მიმართულების/დარგის თანამედროვე მიღწევებს და უახლეს კვლევებს.

რჩევები:

- გამოსწორდეს კინემატოგრაფიის სადოქტორო პროგრამის ქსელში არსებული ტექნიკური ხარვეზი და დაზუსტდეს სწავლის მე-3 სემესტრში დასაგროვებელი კრედიტების ჯამი.
- მიზანშეწონილია სილაბუსში დაკონკრეტდეს, თუ რამდენი საათი იქნება დათმობილი სხვადასხვა კომპონენტებზე სალექციო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რათა ნათელი იყოს, რამდენი საათი ეთმობა ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას; და ა.შ.
- რეკომენდებულია, რომ ქვემოთ მოცემული კურსის სილაბუსში: „აუდიოვიზუალური ხელოვნების გავლენა მე-20 საუკუნის საზოგადოების ფორმირებაზე“ - აღინიშნოს, რომ კურსი ითვალისწინებს რუსული ენის სათანადო ცოდნას, როგორც წინაპირობას.

პროგრამა 7 (ეთნო–ქორეოლოგია, მაგისტრატურა)
რეკომენდაციები:
რჩევები:
პროგრამა 8 (ქორეოლოგია, დოქტორანტურა)
რეკომენდაციები:
რჩევები:

შეფასება
გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.5 აკადემიური კურსი/საგანი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა) | ☐ | ☐ | X | ☐ |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა ) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა , ბაკალავრიატი) | ☐ | ☐ | X | ☐ |
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა , მაგისტრატურა) | ☐ | ☐ | X | ☐ |
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა , დოქტორანტურა ) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (ეთნო–ქორეოლოგია, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია, დოქტორანტურა ) | ☐ | X | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა) | ☐ | ☐ | X | ☐ |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (ეთნო–ქორეოლოგია, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია, დოქტორანტურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში შემავალი პროგრამების დაშვების კრიტერიუმები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და საჭიროების შემთხვევაში დარგობრივი საორიენტაციო დოკუმენტებით.

დაშვების კრიტერიუმები არის სამართლიანი და გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტი ჩაერთოს იმ პირებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი უნარები და ცოდნა პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად. ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული კლასტერში შემავალი პროგრამების მიღების კრიტერიუმები, რაც პრობლემურია და აჩენს პრობლემას მისაღები პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აკონკრეტებს პროგრამებზე მიღების პროცესის დეტალებს. მიუხედავად ამისა, მოწოდებული დოკუმენტაცია არ შეიცავს ინფორმაციას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების საუნივერსიტეტო გამოცდების ქულების მიხედვით განაწილების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ის ასევე არ შეიცავს არც ინგლისური ენის ცოდნის შეფასების ნიმუშს და არც დოქტორანტურის კანდიდატთა საკვლევი პროექტის დაწერის მითითებებს. ზაკალავრიატში მიღებას არეგულირებს NAEC (ეროვნული შეფასებისა და გამოცდების ცენტრი), თუმცა უნივერსიტეტმა მაინც უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მათ ვებგვერდზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლა. აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს 2 სავალდებულო გამოცდა – ქართული ენა და ლიტერატურა და არჩევითი უცხო ენა და მესამე არჩევითი გამოცდა, სადაც არჩევანი კეთდება ჩამოთვლილი საგნებიდან რომელიმეზე: ისტორია / სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ისტორია / ლიტერატურა. აბიტურიენტები ირიცხებიან პროგრამაში მათ მიერ დაგროვილი ერთიანი ქულისა და არჩევანის საფუძველზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (თეატროლოგია, მაგისტრატურა)

პროგრამებზე დაშვების ზოგადი წინაპირობაა:

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში
- ინგლისური ენის ცოდნა (B-2 დონე)
- ქართული ენა (B-2 დონე) უცხოელი აპლიკანტებისთვის
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება
- მისაღები გამოცდა/გასაუბრება სპეციალობაში

თვითშეფასების ანგარიშში არის ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ქორეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეცდომით ჩასმულია თეატრმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში. და, შესაბამისად, არასწორად ნათქვამია, რომ თეატრმცოდნეობის პროგრამაში აპლიკანტი უნდა ფლობდეს საშემსრულებლო უნარებს ქორეოგრაფიაში, რომელიც ფასდება მისაღებ გამოცდაზე/გასაუბრებაზე.

თვითშეფასების დოკუმენტში და უნივერსიტეტის ვებგვერდზე მითითებულია, რომ ენის ცოდნა ფასდება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ენის გამოცდის მეშვეობით. ენის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდა არ ჩაუტარდება აპლიკანტს, თუ ის წარადგენს ენის ფლობის დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია არ შეიცავს ენის ცოდნის შესაფასებელი ტესტების ნიმუშს და არც უნივერსიტეტის ვებგვერდზეა მითითებული, თუმცა ადგილზე ვიზიტისას პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს ენის გამოცდის ჩაბარება, როგორც მათი მიღების პროცედურის ნაწილი.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ მისაღები გამოცდა სპეციალობის დარგში „ფასდება წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით. საგამოცდო კითხვები, პირობები და პროცედურებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია“. თუმცა, უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ არის მოწოდებული. აღნიშნული გამოცდის კრიტერიუმებისა და შეფასების შესახებ ინფორმაცია არც სასწავლო გეგმებშია მოცემული.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (თეატროლოგია, დოქტორანტურა)
პროგრამებზე დაშვების ზოგადი წინაპირობაა:
მინიმუმ მაგისტრის ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში ან ხელოვნების სფეროში
ინგლისური ენის ცოდნა (B-2 დონე)
გასაუბრება სპეციალობის სფეროში
თვითშეფასების ანგარიშში არის ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ქორეოგრაფიის სამაგისტრო გამოცდაზე მიღების წინაპირობები შეცდომითაა ჩასმული თეატრმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში. და, შესაბამისად, არასწორად ნათქვამია, რომ კინოს პროგრამაზე აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და ფლობდეს საშემსრულებლო უნარებს ქორეოგრაფიაში, რომელიც ფასდება მისაღები გამოცდაზე/გასაუბრების დროს.
პროგრამის სასწავლო გეგმასა და თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება არ არის საჭირო იმ აპლიკანტებისთვის, ვინც წარადგენს უმაღლესი განათლების დიპლომს ინგლისურში, სერტიფიკატს, რომელიც განსაზღვრავს მისი ენის ცოდნის დონეს.
გასაუბრებაზე კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს კვლევის პროექტი, რომელშიც ჩამოაყალიბებს საკუთარ სამეცნიერო ინტერესებს და სამომავლო კვლევის მიმართულებებს. თუმცა, არ არის მოწოდებული დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიწეროს კვლევის პროექტი და უფრო მეტიც, როგორ შეფასდეს იგი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი)
კინომცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მესამე სავალდებულო საგანი - ისტორია/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ისტორია). პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
პროგრამის აღწერაში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად, პროგრამაზე სტუდენტების მიღებისას გათვალისწინებულია დასაქმების ბაზრის მოთხოვნები და შეკვეთა. კერძოდ: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად იღებს და ამზადებს სტუდენტებს კინემატოგრაფიის მიმართულებით, რომელთა დასაქმების სფეროებში შედის - ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა პროფილის დაწესებულებები, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, კინოსა და ტელევიზიის მიმართულებით კვლევითი დაწესებულებები, ხელოვნების სფეროები, რედაქციები, არქივი და ა.შ. თუმცა მათზე საზოგადოების მოთხოვნა შედარებით მცირეა. ამიტომ, კინომცოდნეობის მსურველთა რაოდენობა შეზღუდულია: წელიწადში საშუალოდ 12-15 სტუდენტი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)
პროგრამებზე დაშვების ზოგადი წინაპირობაა:
- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში
- ინგლისური ენის ცოდნა (B-2 დონე)
- ქართული ენა (B-2 დონე) უცხოელი კანდიდატებისთვის
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება
- მისაღები გამოცდა/გასაუბრება სპეციალობაში

თვითშეფასების დოკუმენტში და უნივერსიტეტის ვებგვერდზე მითითებულია, რომ ენის ცოდნა ფასდება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ენის გამოცდის მეშვეობით. ენის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდა არ ჩაუტარდება კანდიდატს, თუ ის წარადგენს ენის ფლობის დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია არ შეიცავს ენის ცოდნის შესაფასებელი ტესტების ნიმუშს და არც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა მითითებული, თუმცა ადგილზე ვიზიტისას პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს ენის გამოცდის ჩაბარება, როგორც მათი მიღების პროცედურის ნაწილი.
თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ მისაღები გამოცდა სპეციალობის დარგში „განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმებით. საგამოცდო კითხვები, პირობები და პროცედურებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია“. თუმცა, უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ არის მოწოდებული. აღნიშნული გამოცდის კრიტერიუმებისა და შეფასების შესახებ ინფორმაცია არც სასწავლო გეგმებშია მოცემული.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6** (კინომცოდნეობა, სადოქტორო პროგრამა)
კინომცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (სასურველია ჰუმანიტარულ, სოციალურ, სახელოვნებო მეცნიერებებში), ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე, რაც მოწმდება დოქტორანტურის მისაღები გამოცდის ჩაბარებით (გამოცდა არ ეხება პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლების დიპლომი ინგლისური ენის სპეციალობით, ან შესაბამისი პროფილის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონე), ან ინგლისური ენის ცოდნის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი. (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS ან კემბრიჯის გამოცდა).
ამასთან ერთად, სადოქტორო პროგრამის კანდიდატს ევალება წარმოადგინოს აბსტრაქტი საკვლევ თემატიკაზე, რომელიც ასახავს მის სამეცნიერო ინტერესებს. დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება გასაუბრების შედეგად მიღებული ქულების შესაბამისად. თუმცა არც ვებ-გვერდზე და არც დოკუმენტაციაში არ არის მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილი აბსტრაქტის შეფასების შესახებ და არც სპეციალობის სფეროში გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი უსდ-ის ვებგვერდზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ქორეოლოგია, მაგისტრატურა)
პროგრამებზე დაშვების ზოგადი წინაპირობაა:
- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში
- ინგლისური ენის ცოდნა (B-2 დონე)
- ქართული ენა (B-2 დონე) უცხოელი კანდიდატებისთვის
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება
- მისაღები გამოცდა/გასაუბრება სპეციალობაში

პრაქტიკული ქორეოგრაფიის საშემსრულებლო უნარები (ქორეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კანდიდატებისთვის), რომელიც ფასდება მისაღებ გამოცდაზე/გასაუბრებაზე.
თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ ენის ცოდნა ფასდება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ენის გამოცდის მეშვეობით. ენის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდიდან თავისუფლდება პირი, თუ ის წარადგენს ენის ფლობის დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია არ შეიცავს ენის ცოდნის შესაფასებელი ტესტების ნიმუშს და არც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა მითითებული, თუმცა ადგილზე ვიზიტისას პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს ენის გამოცდის ჩაბარება, როგორც მათი მიღების პროცედურის ნაწილი.
თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ მისაღები გამოცდა სპეციალობაში „ფასდება წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით. საგამოცდო კითხვები, პირობები და პროცედურებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია". თუმცა, უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ არის მოწოდებული. აღნიშნული გამოცდის კრიტერიუმებისა და შეფასების შესახებ ინფორმაცია არც სასწავლო გეგმებშია მოცემული.
**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (ქორეოლოგია, დოქტორანტურა)
პროგრამებზე დაშვების ზოგადი წინაპირობაა:

- მინიმუმ მაგისტრის ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში ან ხელოვნების სფეროში
- ინგლისური ენის ცოდნა (B-2 დონე)
- გასაუბრება სპეციალობაში

თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ ენის ცოდნა ფასდება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ენის გამოცდის მეშვეობით. ენის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდიდან თავისუფლდება პირი, თუ ის წარადგენს ენის ფლობის დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია არ შეიცავს ენის ცოდნის შესაფასებელი ტესტების ნიმუშს და არც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა მითითებული, თუმცა ადგილზე ვიზიტისას პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს ენის გამოცდის ჩაბარება, როგორც მათი მიღების პროცედურის ნაწილი.
გასაუბრებაზე კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს საკვლევი პროექტი, რომელშიც ჩამოაყალიბებს საკუთარ სამეცნიერო ინტერესებს და სამომავლო კვლევის სფეროებს. თუმცა, არ არის მოწოდებული დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიწეროს კვლევის პროექტი და უფრო მეტიც, როგორ ფასდება იგი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამების სასწავლო გეგმები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.tafu.edu.ge
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კვოტების დაგეგმვის მეთოდოლოგია
- დოქტორანტურის მიმღები კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება.
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: • **მისაღები პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია კლასტერში არსებული ყველა პროგრამის მისაღები მოთხოვნების დეტალურად გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.**

კლასტერის საერთო რჩევები:

- <u>სასურველია, თვითშეფასების ანგარიში დაიწეროს მეტი ყურადღებით, რაც უკეთესად მოგვაწვდის ინფორმაციას პროგრამების შესახებ და თავიდან იქნება აცილებული ტექნიკური ხარვეზები.</u>
- <u>სასურველია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს სამაგისტრო გამოცდისთვის/გასაუბრებისთვის განკუთვნილი ტესტებისა და კითხვების ნიმუშები.</u>

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (დასახელება, დონე)
რეკომენდაციები:
რჩევები:
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)
რეკომენდაციები:
რჩევები:
...............

შეფასება
გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორანტურა ) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა , ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა , მაგისტრატურა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (ქორეოლოგია, მაგისტრატურა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია, დოქტორანტურა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ზოგადად, უნივერსიტეტი ბევრ შესაძლებლობას იძლევა სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის. სხვადასხვა შემოქმედებით და კვლევით საქმიანობაში სტუდენტების წარმატებული ჩართვის რამდენიმე ფაქტორი არსებობს: თეორიული და მხატვრული პროგრამების სიახლოვე (უნივერსიტეტში ამზადებენ როგორც ხელოვანებს, ასევე თეორეტიკოსებს); მჭიდრო ურთიერთობა აკადემიურ საზოგადოებასთან; ის, რომ პედაგოგიური პერსონალის წევრები ასევე არიან დაკავებულნი სხვადასხვა კულტურულ აქტივობებსა და პროექტებში. უნივერსიტეტი აწყობს სტუდენტურ ხელოვნების ფესტივალებს, სადაც ჩართული არიან თეორიული პროგრამების სტუდენტებიც. გარდა ამისა, სტუდენტებს მოუწოდებენ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციაში, რომელსაც უნივერსიტეტი ატარებს. ასევე, შესაძლებელია მათი შემოქმედებითი და სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება როგორც სტუდენტურ გაზეთში, ასევე აკადემიურ ჟურნალში. აკადემიური პერსონალი ცდილობს ჩართოს სტუდენტები სხვადასხვა აქტივობებში, როგორიცაა სახელმძღვანელოების ან თარგმანების მომზადება.
თუმცა, იმის გამო, რომ უნივერსიტეტის ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდულია, უცხოეთში საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა სახის ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობის

მხარდაჭერა საკმარისი არ არის. საერთაშორისო პერსპექტივა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება დოქტორანტებისთვის.
უფრო მეტიც, აკადემიური პერსონალი აქტიურად არ არის ჩართული კვლევით პროექტებში, ამიტომ სტუდენტები კარგავენ კვლევით საქმიანობაში ინტეგრაციის შესაძლებლობას.
უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების თხოვნებს, ამიტომ სასწავლო გეგმებში დამატებულია რამდენიმე პრაქტიკული კურსი. თუმცა, სტუდენტებს სჭირდებათ უფრო რეალური კონტაქტი პროფესიულ გარემოსთან, რათა ჩამოუყალიბდეთ თავიანთი პროფესიული იდენტობა სწავლის პერიოდში. უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ხელშეკრულებების და მემორანდუმების გაფორმებას კულტურულ და სხვა დაწესებულებებთან, რათა მეტი პრაქტიკა უზრუნველყოს თავისი სტუდენტებისთვის, თუმცა ამას ამ დრომდე სისტემური ხასიათი არ აქვს. ასევე სასურველია მეტი სემინარი და მასტერკლასები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში
- ვებგვერდი
- ინტერვიუების შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- **გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში საზღვარგარეთ.**

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- **საჭიროა კულტურულ, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გააქტიურება პროფესიული პრაქტიკის მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.**

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უნარების განვითარება | | | | |
| **პროგრამა 1 (თეატროლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (თეატროლოგია, მაგისტრატურა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (თეატროლოგია, დოქტორი)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, ბაკალავრიატი)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, მაგისტრატურა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, დოქტორანტურა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 7 (ეთნო–ქორეოლოგია, მაგისტრატურა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (ქორეოლოგია, დოქტორანტურა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |

### 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სწავლება- სწავლის მეთოდები მოცემულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თითოეულ სილაბუსში.

პროგრამაში გამოყენებული მეთოდებია:

- ლექცია
- სემინარი
- განხილვა/ დებატები
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL).
- დამოუკიდებელი მუშაობა
- ვიზუალური პრეზენტაცია
- ვერბალური ახსნა-განმარტება
- წერითი მეთოდი
- და ა.შ.

მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითიეული კურსის მიზნებსა და შინაარსს. ისინი უზრუნველყოფს კურსების სწავლის შედეგების მიღწევას. ამავდროულად, ყველა მეთოდის მთლიანობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, ამოცანების და სწავლის შედეგების მიღწევას.

ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოქნილია და შეიძლება შეიცვალოს სტუდენტების განსაკუთრებული საჭიროებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტს ასევე შეუძლია ინდივიდუალურად დაგეგმოს როგორც სასწავლო პროცესი, ასევე ინდივიდუალური პროგრამა სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ადასტურებენ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით ღირებული აღმოჩნდა პანდემიის პერიოდში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლასგარეშე აქტივობებს ყველა პროგრამაში, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ თავიანთი ნამუშევრები უნივერსიტეტის ჟურნალში, ასევე შესაბამისი დარგის ონლაინ პლატფორმებზე. ეს პრაქტიკული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიის დაუფლებისთვის.

ამავდროულად, სილაბუსებში სწავლის მეთოდების არჩევანი, როგორც ჩანს, ცოტა მექანიკურია და მეორდება კურსიდან კურსზე. მოქმედ სტუდენტებთან და საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას დაისვა სწავლების მეთოდების საკითხი. სტუდენტები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სწავლის პროცესით უაღრესად კმაყოფილნი არიან, მაინც სურდათ, რომ ზოგიერთ კურსში გამოიყენებოდეს სწავლების უფრო თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა შებრუნებული საკლასო ოთახი, თამაშზე დაფუძნებული სწავლება, VAK სწავლება და ა.შ. ადგილზე ვიზიტის დროს ასევე წამოიჭრა კვლევაზე დაფუძნებული სწავლების საჭიროება. ამ საკითხზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვე-სტანდარტში 1.5.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამების სასწავლო გეგმები
- პროგრამების სილაბუსები
- ელექტრონული (დისტანციური) განათლების პირობებში სასწავლო პროცესის წარმართვის წესი
- სასწავლო პროცესის წესი;
- გასაუბრებები პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროფესორებთან
- გასაუბრებები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:**

• მიზანშეწონილია, რომ აკადემიური პერსონალისა და პროგრამების მოწვეული მასწავლებლებისთვის უნივერსიტეტმა გააგრძელოს ტრენინგები სწავლებისა და სწავლის მეთოდების მიმართულებით.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

***************************

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (თეატროლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (თეატროლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია, სადოქტორო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, სადოქტორო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 ეთნო-ქორეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია, სადოქტორო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების შეფასება დადგენილი პროცედურების მიხედვით ხორციელდება, რაც აისახება სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის რეგულაციაში. შეფასების პროცედურები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა რეგლამენტს.
შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კომპონენტის სწავლის შედეგებს და განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით ან მარეგულირებელი დოკუმენტით.
სტუდენტები წინასწარ იცნობენ უნივერსიტეტის შეფასების სისტემას და მოქმედ რეგულაციებს შეფასებასთან დაკავშირებით, შეფასების კომპონენტებსა და მეთოდებს, ასევე შეფასების შესაბამის კრიტერიუმებს.
უნივერსიტეტში შესაძლებელია სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი. სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცედურები გაწერილია „საგამოცდო პროცესისა და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქციებში".
პროგრამის თითოეულ საგანმანათლებლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებით.
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი და საშუალება (დასწრება- აქტივობის შეფასება, წერილობითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, ესე/ სემესტრული ნაშრომი, ჯგუფური მუშაობა და ა.შ.).

ბაკალავრიატის დონეზე 100- ქულიანი შეფასების სისტემა ძირითადად შემდეგნაირად იყოფა: I - დასწრება- აქტივობა: 15 ქულა; II - სემინარი, ჯგუფური მუშაობა, დავალებები და ა.შ. 25 ქულა (5X5); III - შუალედური გამოცდა: 20 ქულა; IV - დასკვნითი გამოცდა: 40 ქულა.

მაგისტრატურაში ძირითადად გამოიყენება შეფასების შემდეგი მეთოდები: დასწრება- აქტივობა (მაქსიმალური სემესტრული შეფასება - 15 ქულა), ჯგუფური მუშაობა, დავალებები, სემინარი, ზეპირი გამოკითხვა (მაგალითად, შესწავლილი მასალის თხრობა), წერილობითი გამოცდა (ტესტირება), ესე / სემესტრული ნაშრომი (მაქსიმალური სემესტრული შეფასება - 25 ქულა), შუალედური გამოცდა (მაქსიმალური სემესტრული შეფასება - 20 ქულა) და დასკვნითი გამოცდა (მაქსიმალური შეფასება - 40 ქულა). შეფასების მსგავსი მეთოდები გამოიყენება დოქტორანტურის საფეხურზე.

აღსანიშნავია, რომ დასწრება- აქტივობის 15 ქულიდან არ არის მკვეთრი განსხვავება, თუ რამდენი ქულაა გამოყოფილი აქტივობისთვის და რამდენი დასწრებისთვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, სტუდენტების შეფასების მეთოდებს შორის დასწრება არ არის ნახსენები. სასურველია, რომ დასწრებისთვის გამოყოფილი ქულები მიენიჭოს სტუდენტების კონკრეტულ აქტივობას.

ასევე, სილაბუსებში არ არის განსაზღვრული როგორ ნაწილდება ჯამური 25 ქულა ცალკეული დავალებების მიხედვით. მაგალითად, ესეს/ სემესტრული ნაშრომის პროპორცია სხვადასხვა კურსზე განსხვავებულია. მიგვაჩნია, რომ ეს კომპონენტი უფრო მეტად უნდა დაკონკრეტდეს.

უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედებს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მომზადების, დაცვისა და შეფასების მარეგულირებელი წესები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს ამჟამად არ აქვს პლატფორმა მათი პუბლიკაციების ან სტუდენტის ნაშრომის პლაგიატზე შესამოწმებლად. ვინაიდან უნივერსიტეტს არ გააჩნია წვდომა Turnitin- ზე, მას აქვს მემორანდუმი გარკვეულ ორგანიზაციასთან, რომელიც ამოწმებს ნაშრომებს და აწვდის ანგარიშებს. თუმცა, ამგვარად შესამოწმებელი ნაშრომების რაოდენობა შეზღუდულია, რაც დამატებით პრობლემებს უქმნის პერსონალს, პრაქტიკულად აორმაგებს მათ შრომას დოქტორანტებთან და მაგისტრანტებთან მუშაობისას.

საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, უმაღლეს სასწავლებელს აქვს შესაძლებლობა დისტანციურად ჩაატაროს სტუდენტების შეფასება შესაბამისი მეთოდის გამოყენებით, საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტის მახასიათებლებისა და შინაარსის გათვალისწინებით.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ხელოვნებათმცოდნეობის სამივე საფეხურის პროგრამებზე თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის/ კურსდამთავრებულის საშუალო ქულის გამოთვლის მეთოდი;
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირება;
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის რეგულირება;
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტები;
- სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადაყვანილი და მობილობით გადმოსული სტუდენტების ECTS- ის აღიარების პროცედურა;
- თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები;
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის შეფასებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესი;
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და შეფასების მექანიზმების ფორმირება;
- ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესი;

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის წესი;
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- რექტორის ბრძანება #108/2, 01.09.2017 საგამოცდო პროცედურების და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ.
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემა (tafu.ini.ge);
- ინტერვიუების შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, სტუდენტების შეფასების მეთოდებში არ არის ნახსენები დასწრების შეფასება. რეკომენდებულია, რომ დასწრებისთვის გამოყოფილი ქულები სტუდეტებს კონკრეტული აქტივობების შესრულებისთვის მიენიჭოთ.
- უნივერსიტეტს ამჟამად არ აქვს პლატფორმა, რითაც პლაგიატზე შეამოწმებს საკუთარ პუბლიკაციებსა თუ სტუდენტთა ნაშრომებს. ტურნიტინზე ან სხვა პლატფორმაზე წვდომის არარსებობის პირობებში, უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმი ორგანიზაციასთან, რომელიც ამოწმებს ნაშრომებს და უნივერსიტეტს აწვდის შესაბამის ანგარიშებს. უნივერსიტეტმა უნდა შექმნას პლაგიატის შემოწმების უფრო ღია წვდომის მქონე პლატფორმა.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- სასურველია, რომ სილაბუსში, 25-ქულიანი დავალებების კომპონენტში, დაზუსტდეს ცალკეული დავალების წილი, ქულები და შეფასების მექანიზმი.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

****************************

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა**

| კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (დასახელება, დონე)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (დასახელება, დონე)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (დასახელება, დონე)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (დასახელება, დონე)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (დასახელება, დონე)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (დასახელება, დონე)** | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 7 (დასახელება, დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (დასახელება, დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (თეატროლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (თეატროლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია, სადოქტორო პროგრამა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, სადოქტორო პროგრამა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 ეთნო-ქორეოლოგია, | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამაგისტრო პროგრამა) | | | | |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია, სადოქტორო პროგრამა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

**3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები**

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ან/ და უსდ- ს სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისაგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის შემდეგი საშუალებები:

1) სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევა შესაბამისი ფაკულტეტების სპეციალისტების, პროგრამაში ჩართული პერსონალის, სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ; აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური მუშაობა სტუდენტებთან; თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, წინასწარი შეთანხმებით, შეხვდეს ლექტორებს, აკადემიურ პერსონალს და გაიაროს კონსულტაცია. უმაღლეს

სასწავლებელში არის ინდივიდუალური კონსულტაციების ცხრილი. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ასახული, პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია: მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია სასწავლო გეგმის შესახებ, ურჩიოს მათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვა, გადაჭრას პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები და ა.შ.

2) უმაღლესი სასწავლებლის ვებგვერდი, რომელიც შეიცავს აუცილებელ ინფორმაციას სასწავლო პროცესის, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ.

3) სტუდენტთა კარიერული ხელშეწყობის ცენტრი იძლევა შესაბამის ინფორმაციას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ინფორმაციას ავრცელებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო პროგრამების სამსახური ვებგვერდის, მედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით. ეს ცენტრი უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციებს დასაქმების მსურველ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს და აძლევს რეკომენდაციებს სტაჟირებისა და შესაძლო დასაქმების შესახებ.

4) სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით გათვალისწინებული პერსონალური ვებ სივრცე, რომელიც იძლევა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის საჭირო ინფორმაციას.

სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ფესტივალებში (მაგალითად, რამდენიმე წლიურ ფესტივალში), კონფერენციებში (მათ შორის საერთაშორისო) და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებში.

უსდ- ის რამდენიმე სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო პროექტსა და პროგრამაში; თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მასშტაბები და ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს, განსაკუთრებით კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაცია. სამწუხაროდ, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა მცირეა. ამასთან, გაირკვა, რომ უმაღლესი სასწავლებელი უმეტესწილად ფინანსური კუთხით ვერ უწყობს მათ ხელს. სტუდენტებს ხშირად თავად უწევთ ინფორმაციის და დაფინანსების მოძიება ასეთი პროგრამებისთვის.

გასაუბრებების დროს გაირკვა, რომ სტუდენტებისთვის განსაკუთრებულ პრობლემას და გამოწვევას წარმოადგენს უცხო ენის, პირველ რიგში, ინგლისურის სწავლება და სწავლა. ამ სფეროში სტუდენტები განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი უცხო ენის შესწავლით. აუცილებელია ამ ენის სწავლების გაუმჯობესება. თუ პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები ვერ განხორციელდება,

აუცილებელია, უსდ- მ შესთავაზოს სტუდენტებს ინგლისური ენის დამატებითი კურსები, რათა ხელი შეუწყოს მათ აკადემიურ და კარიერულ განვითარებაში.

გასაუბრებების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს სჭირდებათ მეტი პრაქტიკული აქტივობები, მაგალითად: რეპეტიციებზე დასწრება, ფილმების ჩვენება ლექციების დროს, მეტი ვარჯიში ანსამბლებში და ა.შ. სასურველია, უმაღლესმა სასწავლებლებმა უფრო მრავალფეროვანი გახადოს სწავლებისა და საქმიანობის პრაქტიკული ნაწილი. კარგი იქნება, თუ სტუდენტებს ექნებათ მეტი სტაჟირების შესაძლებლობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს უსდ- ს ბიბლიოთეკა. აშკარაა ბიბლიოთეკაში თანამედროვე უცხოენოვანი (მაგალითად, ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ლიტერატურის ნაკლებობა. ასევე, კარგი იქნება, თუ უსდ გაზრდის დარგისთვის საჭირო უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის ფარგლებს.

კარგი იქნება, თუ უსდ სტუდენტებს შესთავაზებს მეტ აქტივობას, მაგალითად, მასტერკლასებს როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით. გაიზრდება კომუნიკაცია ხელოვნების სივრცის წარმომადგენლებთან.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფსიქოლოგის პოზიცია ხელს შეუწყობს სტუდენტების კეთილდღეობას.

მართალია, უსდ შეძლებისდაგვარად უჭერს მხარს სტუდენტებს კვლევით საქმიანობაში (მაგალითად, სპეციალიზებულ ონლაინ პუბლიკაციებში სტატიების გამოქვეყნების კუთხით), მაგრამ ამ მიმართულებით მეტის გაკეთებაა საჭირო, განსაკუთრებით ფინანსური წახალისების თვალსაზრისით.

დასასრულს, უნდა გაუმჯობესდეს საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის მასშტაბი და ხარისხი. გარდა ამისა, საჭირო იქნებოდა უცხო ენების, პირველ რიგში, ინგლისურის სწავლების გაუმჯობესება. თუმცა, ეს რეკომენდაციები უკვე მოცემულია კომპონენტ 1.4-ში.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებების შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, ჯგუფის, განყოფილების ხელმძღვანელის შერჩევის, დანიშვნისა და მოვალეობის შესრულების წესი;
- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურება;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული აკადემიური/ სამეცნიერო/ მოწვეული/ ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის დატვირთვა;
- დეკანატის თანამშრომელთა ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები; აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიშები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების პროგრამები - სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- **სასურველია, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა უფრო მრავალფეროვანი გახადოს სწავლებისა და აქტივობების პრაქტიკული ნაწილი (მაგალითად: რეპეტიციებზე დასწრება, ფილმების ჩვენება ლექციების დროს, მეტი პრაქტიკა ანსამბლებში და ა.შ.). კარგი იქნება, თუ სტუდენტებს ექნებათ სტაჟირების მეტი შესაძლებლობა.**
- **სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს დარგისთვის საჭირო უცხოური ლიტერატურის ქართულად თარგმნის მასშტაბი.**

- კარგი იქნება, თუ უსდ სტუდენტებს შესთავაზებს მეტ აქტივობას, მაგალითად, მასტერკლასებს როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით; ამგვარად გაიზრდება კომუნიკაცია ხელოვნების სივრცის წარმომადგენლებთან.
- ფსიქოლოგის შტატი ხელს შეუწყობს სტუდენტების კეთილდღეობას.
- მართალია, უსდ შეძლებისდაგვარად უჭერს მხარს სტუდენტებს კვლევით საქმიანობაში (მაგალითად, სპეციალიზებულ ონლაინ პუბლიკაციებში სტატიების გამოქვეყნების კუთხით), მაგრამ ამ მიმართულებით მეტის გაკეთებაა საჭირო, განსაკუთრებით ფინანსური წახალისების თვალსაზრისით.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**********************************

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (თეატროლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (თეატროლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია, სადოქტორო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, სამაგისტრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, სადოქტორო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 ეთნო-ქორეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია, სადოქტორო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

---

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობის წესი განისაზღვრება გამოყენებითი მეცნიერებების უმაღლესი სასწავლებლის ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა: სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის წესი; სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი; სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულება. უმაღლესმა სასწავლებელმა შეიმუშავა სამაგისტრო/ სადოქტორო დისერტაციების და მაგისტრანტთა/ დოქტორანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე.
ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, დოქტორის აკადემიური ხარისხით, პრაქტიკული გამოცდილებით შესაბამის სამეცნიერო- კვლევით ან/ და შემოქმედებით სფეროში საშემსრულებლო- შემოქმედებითი მიმართულებით. სადისერტაციო თემის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მაგისტრანტს/ დოქტორანტს დაენიშნოს თანახელმძღვანელი ან კონსულტანტი, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში.
კვლევის პროცესში ხელმძღვანელი სტუდენტს უწევს კონსულტაციას შემდეგ საკითხებზე: კვლევის დიზაინი და პროექტის მართვა, კვლევის მეთოდოლოგია, დისერტაციის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/ დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების პრეზენტაციის პროცესი, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალებში, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და სხვა.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების აკადემიური პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია საშუალებას აძლევს სტუდენტებს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ჰყავდეთ მაღალიკვალიფიციური ხელმძღვანელები. თუმცა, შესაძლო ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა მომგებიანი იქნება: ის შეამცირებს აკადემიური პერსონალის დატვირთვას, უზრუნველყოფს მიდგომების მრავალფეროვნებას და ხელს შეუწყობს ხელოვნების მეცნიერებების განვითარებას. გარდა ამისა, ეს გაზრდის მისაღები სტუდენტების რაოდენობას (გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მიღება არ გამოცხადდა პოტენციური ხელმძღვანელების არარსებობის გამო). ასევე, მიზანშეწონილი იქნება კვლევით პროექტებში ხელმძღვანელების მონაწილეობის გაძლიერება.
სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების შემოწმებისას გამოვლინდა აკადემიური წერის ნორმების დარღვევის რამდენიმე მაგალითი. აუცილებელია ხელმძღვანელებმა უფრო ინტენსიურად იმუშაონ სტუდენტებთან, მისცენ რჩევები და რეკომენდაციები ამ მიმართულებით.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| **მაგისტრანტის/ დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)**[9] | |
|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების რაოდენობა | |
| //დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | |

[9] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

| | |
|---|---|
| თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;
- შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- სამაგისტრო/ სადოქტორო ხელმძღვანელთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ხელმძღვანელთა და აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტთა/დოქტორანტთა თანაფარდობა.
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია აკადემიური პერსონალის (შესაბამისად, პოტენციური ხელმძღვანელების) კვლევითი ინტერესებისა და პუბლიკაციების შესახებ;
- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესი;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- **აუცილებელია ხელმძღვანელებმა უფრო ინტენსიურად იმუშაონ სტუდენტებთან, მისცენ რჩევები და რეკომენდაციები აკადემიური წერის ნორმების შესახებ;**

- მიზანშეწონილი იქნებანაშრომის შესაძლო ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა;
- სასურველია კვლევით პროექტებში ხელმძღვანელების ჩართულობის გაძლიერება.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 ( სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

****************************

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (დასახელება, დონე) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 3 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (დასახელება, დონე) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (თეატროლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (თეატროლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (თეატროლოგია, სადოქტორო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (კინომცოდნეობა, საბაკალავრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 5 (კინომცოდნეობა, სამაგისტრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (კინომცოდნეობა, სადოქტორო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 ეთნო-ქორეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (ქორეოლოგია, სადოქტორო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ადამიანური რესურსები კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივია. მრავალი წლის განმავლობაში უნივერსიტეტი იყო ერთადერთი აკადემიური დაწესებულება, რომელიც სთავაზობდა უმაღლეს განათლებას თეატრში, კინოსა და ქორეოლოგიაში, ამიტომ აკადემიური პერსონალი ტრადიციულად ძალიან კომპეტენტურია. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, ასევე ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულ შეხვედრებზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ აკადემიურ პერსონალს გააჩნია კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც საჭიროა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო მიზნების შესასრულებლად. აკადემიური პერსონალი შედგება ცნობილი თეატრისა და კინოს კრიტიკოსებისგან, რომლებმაც გავლენა მოახდინეს და ახლა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. მათ შეიმუშავეს და გამოაქვეყნეს სასწავლო მასალები, როგორიცაა, მაგალითად, თეატრის ისტორია 5 ტომად, რომელიც ახლახან დასრულდა. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი თავიანთი დარგის მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოების თარგმნაში. ისინი ასევე მონაწილეობენ თავიანთი სფეროს ფესტივალებში, როგორც ჟიურის წევრები, ასევე არიან კომისიების წევრები როგორც კულტურის სამინისტროში, ასევე თბილისის მუნიციპალიტეტში და საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში, იღებენ გადაწყვეტილებებს სპექტაკლების, ფილმების და მათთან დაკავშირებული სხვა პროექტების დაფინანსების შესახებ. თუმცა აკადემიური პერსონალი აქტიურად არ არის ჩართული კვლევით პროექტებში, სამეცნიერო კვლევისა და ექსპერიმენტალური განვითარების მიმართულებით (SR&ED).

პროგრამების პერსონალი ჩართული იყო შესაბამისი პროგრამების შემუშავებაში, აქტიური მონაწილეობა მიიღო დარგობრივი მახასიათებლის შექმნაში. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეიტყო, რომ მათ ყველას აქვთ მკაფიო ხედვა შესაბამისი პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, ისევე როგორც ობიექტური გაგება ყველა ხარვეზისა და გაუმჯობესების სფეროების შესახებ.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა ადეკვატურია და ემსახურება პროგრამების სწავლის შედეგების საუკეთესოდ მიღწევას. აკადემიური პერსონალის ლექციებისა და სხვა აქტივობების სქემა ყოველწლიურად განახლდება.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან პრაქტიკულად ერთი და იგივე აკადემიური პერსონალია ჩართული შესაბამის პროგრამებში სამივე საფეხურზე - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა, მათი დატვირთვა საკმაოდ სოლიდურია და სწავლების გარდა სხვა აკადემიური საქმიანობისთვის მცირე დრო რჩება. აქედან გამომდინარე, აკადემიური პერსონალის ჩართულობა კვლევით პროექტებში მწირია და შემოიფარგლება კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობით და ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებით.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკადემიური პერსონალის პროფესიული რეზიუმეები, ასევე ცალკე დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია აკადემიური პერსონალის საქმიანობა, მათ შორის სამეცნიერო ინტერესები და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობრივი მონაცემები. ეს აქტივობები მოიცავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს, მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც ქვეყანაში, ისე საერთაშორისო დონეზე და სხვა სამეცნიერო საქმიანობას (როგორიცაა სახელმძღვანელოებზე მუშაობა, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ა.შ.)

